



# მარტო „მალბორო“, „ელემი“ და „პარლამენტი“ კი არა, ყველა სიგარეტს ევროპული ფასი დაედება (?!)

ალია

## რას გვიმალავს ხელისუფლება?




13

N1 /3317/ 5 იანვარი 2016 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## „ჩვენ ვეკითხებით გიორგი კვირიკაშვილს, ის აპირებს, ღარიბაშვილის გზა გააგრძელოს, ყველამ მასზე შეიწმინდოს ფეხები და განიცადოს ის ტრაგედია, რაც ღარიბაშვილმა განიცადა გადადგომით“

11

რატომ სჯერა კუკავას, რომ კვირიკაშვილი ოპოზიციას შეხვდება, რატომ ფიქრობს, რომ ღარიბაშვილისგან განსხვავებით ახალი პრემიერი ბიძინა ივანიშვილისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და თუკი პრემიერმა უარით გამოისტუმრა ინტერპარტიული ჯგუფი, რა იქნება შემდგომი ნაბიჯი?

კახა კუკავა: „მე როგორც მითხრეს, ივანიშვილს არც კი დაურეკავს ღარიბაშვილისთვის, სხვას დაავალა, რომ პრემიერმინისტრობიდან გადამდგარიყო“



## ახალი სკანდალი სასამართლო სისტემაში

5



რატომ ალაპარაკდა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი?

## ლიტვაში სწრაფი სესხების გამცემ კომპანიებს საქმიანობა აეკრძალათ... ორი მათგანი საქართველოშიც მუშაობს

4

vivus.LT
patogi paskola

რა განუცხადეს „ალიას“ პარლამენტში





## თუ გოგო სიგარეტს ეწევა, ბოზი კი არა, მდიდარია

6



## ზაზა სიამაშვილი: ბუბა კიკაბიძევ, ნანი ბრეგვაძევ, სუხიშვილებო... ამ ხალხის ახლობლებს რას ეტყვით?

2



## უკრაინული „ვიკილიკსი“ მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის მიმოწერას აქვეყნებს: — შენს ძუკნებს მიხედე! — რულოვსი

2



## წყლის გამანაწილებელი კომპანიების რჩევები მოსახლეობას ყინვასთან დაკავშირებით

6



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

ლექტორი ზაზა სიამაშვილი საზოგადოების იმ ნაწილს მიმართავს, ვინც პრეზიდენტს გიგი უგულავას შეწყალება სთხოვა:

„ბუბა კიკაბიძევ, ნანი ბრეგვაძევ, სუხიშვილებო... ამ ხალხის ახლობლებს რას ეტყვით???

რობაქიძე;

აფრასიძეები;

ვაზაგაშვილი;

გამცემლიძე;

ჟვანია;

ოთარ გველუკაშვილი (მოკლულ იქნა გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში სპეცოპერაციის დროს);

ანტონ კეკულავა (მოკლეს თბილისში დაკავებისას);

დიკო ბარქაია (მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას);

ზაზა ფანცქელაძე (მოკლეს ზუგდიდის რაიონში დაკავებისას);

ვლადიმერ ხოშტარია (მოკლეს თბილისში დაკავებისას);

გიორგი თელია (მოკლეს თბილისში საკუთარ სახლში სპეცოპერაციის დროს);

ჯემალ ჩაფიძე (მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში დაკავებისას);

ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზ კიზირია და ვალერი ბენდელიანი (მოკლულ იქნენ ბაღდადის რაიონის სოფელ ვარციხეში დაკავებისას);

ალექსანდრე ხუბულოვი (ჩაცხრილეს ავტომანქანაში სპეცოპერაციის დროს, თბილისში კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე);

მიხეილ ბერძენიშვილი (მოკლეს საგარეჯოს რაიონში დაკავებისას);

გელა ცინდელიანი (მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში სპეცოპერაციის დროს);

ჯაბა ჯაბანიშვილი (ქალაქ ბორჯომში დაჭრილი იქნა პოლიციელის მიერ და სახლში მისვლისას გარდაიცვალა);

## ზაზა სიამაშვილი: ბუბა კიკაბიძევ, ნანი ბრეგვაძევ, სუხიშვილებო... ამ ხალხის ახლობლებს რას ეტყვით?





ხვიჩა კვირიკაშვილი (მოკლულ იქნა თბილისში, პოლიციელების მიერ, დაკავების დროს განხორციელებული ცემის შემდეგ);

ალექსანდრე გომაშვილი (მოკლეს კახეთში დაკავებისას);

მურთაზ ქარდავა და თემურ ხუბუნია (ორივე ერთად ჩაცხრილა უშიშროების თანამშრომელმა);

სულხან ლომიძე (მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს);

აკაკი კორკოტაშვილი (მოკლეს გურჯაანის რაიონში დაკავებისას);

ავთანდილ გუმაშვილი და ვახტანგ გუმაშვილი (ორივე მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას);

ვახტანგ მარგოშვილი (მოკლეს ქვემო ქართლში სოფელ ვახტანგისში);

ვარლამ ნემსიწვერიძე (მოკლეს თბილისში მძევლის განთავისუფლებისას);

ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა და თემურ ცეკვავა (სამივე ერთად მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას);

თამაზ კურკუმული (მოკლეს თბილისში დაკავებისას);

ხვიჩა მელაძე (მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში);

გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი მანჯავიძე (ორივე ერთად მოკლეს თბილისში თამარაშვილის ქუჩაზე დაკავებისას);

ლევან გულუა (მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას);

რეზო სარჯველაძე (მოკლეს თბილისში დაკავებისას);

ხვიჩა კოკაია (მოკლეს ხობის რაიონში სპეცოპერაციისას);

ვალერი ფხაკაძე (ქუთაისში დაჭრეს პოლიციელებმა და დაჭრილს არ აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება, რის გამოც გარდაიცვალა);

მიხეილ კირაკოსიანი (ახალციხეში მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო ესროლა პოლიციელმა და ადგილზე მოკლა);

გიგა ჭარბაძე (მოკლულ იქნა თელავში პოლიციელის მიერ, ავტომანქანის დაჯახებით);

ალექსანდრე ხოსიტაშვილი (მოკლულ იქნა თბილისში, პოლიციელების მიერ სასტიკი ცემის შედეგად);

ოლეგ მესხიძე (მოკლეს ოზურგეთში სპეცოპერაციისას);

თენგიზ გოგია (მოკლეს სენაკის რაიონის სოფელ მენჯში სპეცოპერაციისას);

როლანდ მახარაძე მოკლულ იქნა ბათუმში მძევლების განთავისუფლებისას),

როინ შავაძე (მოკლეს ქობულეთში სასტიკი წამების შემდეგ);

ზურაბ მანთაძე (მოკლეს რუსთავ-თბილისის გზატკეცილზე დაკავების შემდეგ);

გიორგი კრიალაშვილი (მოკლეს თბილისში სპეცოპერაციისას);

ჯიმი მეგრელიძე (მოკლეს ზუგდიდში დაკავებისას);

მამუკა ჩარჩხალია (პოლიციელების მიერ თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა საკუთარ სახლში)... (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## პარლამენტარი იმიტომაა პარლამენტარი, თავზეც რომ გადაგვიაროს, ხმა არ უნდა გავცეთ, ხელფასის დაქვითვას ხომ საერთოდ როგორ შევკადრებთ?!



2015 წელს პარლამენტის პლენარული თუ საკომიტეტო სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენ დეპუტატებზე ხელფასის დაკავება არ განხორციელებულა. ამის შესახებ პარლამენტის აპარატში აცხადებენ.

პარლამენტის რეგლამენტი კი, სხდომების არასაპატიო გაცდენებზე ხელფასის 10 პროცენტით დაკავებას ითვალისწინებს. კერძოდ, რეგლამენტის თანახმად, თუ პარლამენტის წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით ერთზე მეტ პლენარულ სხდომას არ დაესწრება, მას ერთზე მეტი გაცდენილი თითოეული სხდომისთვის ხელფასის 10 პროცენტი დაუკავდება.

რაც შეეხება კომიტეტების გაცდენის შემთხვევებს, რეგლამენტის მიხედვით, თუ ორ კომიტეტში გაწევრებული პარლამენტის წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით კომიტეტების სხდომებს სამჯერ არ დაესწრება, ხოლო ერთ კომიტეტში გაწევრებული პარლამენტის წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით კომიტეტის სხდომას ორჯერ არ დაესწრება, მასაც ხელფასის 10 პროცენტი დაუკავდება. ამასთანავე, გაცდენების არასაპატიო მიზეზად არ მიიჩნევა სხდომებზე ავადმყოფობის, ოჯახური მდგომარეობისა და სამსახურებრივი მივლინების მიზეზით გამოუცხადებლობა. (bpn.ge)

**უშრომია, ხალხს, უწვალია, ათასი დაპირება გაუცია, უფრო მეტი ტყუილი უთქვამს და პარლამენტარი გამხდარა, ხელფასს დაიკლებს ახლა და ფუფუნებაზე უარს იტყვის? ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით, არ გამოგივიდათ!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინული „ვიკილიკსი“ მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის მიმოწერას აქვეყნებს: — შენს ძუკნებს მიხედე! — რულოვსი



უკრაინული „ვიკილიკსი“ მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის მიმოწერას აქვეყნებს. მიმოწერა „ვაიბერის“ მეშვეობით განხორციელდა. უკრაინულმა „ვიკილიკსმა“ გაშიფრა აღნიშნული მიმოწერა, რომელიც სააკაშვილის, კეზერაშვილისა და ბილალ ერდოღანის გავრცელებული საუბრის გაგრძელებაა:




**სანდრა რულოვსი:** მე ყველაფერი ვიცი და ელისი დღეს სტამბულში იქნება, ის ელაპარაკა დათოს (დავით კეზერაშვილი).

**მიხეილ სააკაშვილი:** შენ ზარებს არ პასუხობ, ეს საქმეს დააზარალებს.

**სანდრა რულოვსი:** მერე? გაერთე შენს ძუკნებთან!

**მიხეილ სააკაშვილი:** მოდი, რა, ამ საკითხს შევეშვათ. მე ხომ არ გეკითხები, შენ ვისთან გძინავს, საქმეზე ვილაპარაკოთ.

**სანდრა რულოვსი:** მე ყველაფერს ვაკონტროლებ, ამსტერდამის ცენტრში დღეში ასობით შეკვეთა მოდის, წინასწარ იხდიან თანხის 20 პროცენტს, ყველაფერზე პასუხისმგებელი თქვენ ხართ, მთავარია, შენმა თურქებმა არ გადაგვაგდონ.

**მიხეილ სააკაშვილი:** ბილალმა (ბილალ ერდოღანი, თურქეთის პრეზიდენტის ვაჟი) ყველაფერი მოაგვარა, მებრძოლები ჩაერთვნენ და ტრანსპორტირებაზე პრობლემა არ იქნება, მთავარმა იმამმა ტყვეები და გოგოები გადასცა. რადგან ელისი (ელისაბედ დე ბრიუკი, ტრანსპლანტოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი) უკვე იქ არის. კვირის ბოლომდე ორგანოების ახალ პარტიას გამოუშვებენ, იქაურები ხომ ახალ წელს არ აღნიშნავენ.

**სანდრა რულოვსი:** ოკ. ველოდები.

**მიხეილ სააკაშვილი**: გკოცნი, საყვარელო.

**სანდრა რულოვსი:** წადი შენი, შენი სიგიჟეები დაგღუპავს მანდ, უკრაინაში.

(marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 19 მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული დეკემბერში — „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ სტატისტიკა



„სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრი“ 2015 წლის დეკემბრის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა სტატისტიკას ავრცელებს.

გთავაზობთ სტატისტიკას, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა:

1-ლი დეკემბერი – თბილისი-ვარკეთილში „ნიკორას“ სუპერმარკეტი დააყაჩაღეს. ნიღბიანმა თავდამსხმელმა სუპერმარკეტის დაცვის თანამშრომელი იარაღით დაჭრა;

4 დეკემბერი – აბანოთუბანში მეჩეთი გაქურდეს;

7 დეკემბერი – თელავში 53 წლის ქალბატონი ნაჯახით მოკლეს;

8 დეკემბერი – ოზურგეთში სკოლის მოსწავლე დაჭრეს;

10 დეკემბერი – თელავში 25 წლის მამაკაცი მოკლეს;

10 დეკემბერი – დედოფლისწყაროში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი ავტომატური იარაღიდან დაცხრილეს;

12 დეკემბერი – ახმეტის რაიონში 21 წლის ახალგაზრდა ბიჭი ნაჯახით მოკლეს;

14 დეკემბერი – თავდასხმა პოლიციის თანამშრომელზე, თბილისში სადგურის მოედანზე პატრულის თანამშრომელს ბლაგვი საგნით თავის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს;

14 დეკემბერი – თბილისში მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით ერთი პირი მოკლა, მეორე დაჭრა;

15 დეკემბერი – თბილისში, საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობმა პირებმა 2 ადამიანს ცეცხლი გაუხსნეს;

15 დეკემბერი – ვაჟა-ფშაველას გამზირზე ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს;

16 დეკემბერი – ბახტრიონის ქუჩაზე „ლიბერთი ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღეს;

17 დეკემბერი – გურჯაანის სამების საკათედრო ტაძარი გაძარცვეს;

20 დეკემბერი – დიღმის მასივში 27 წლის ბიჭი შვილთან ერთად მოკლეს;

20 დეკემბერი – ზუგდიდში ტაქსის მძღოლი დაყაჩაღებისას მოკლეს;

25 დეკემბერი – ოზურგეთში 7 წლის ბავშვი ჩამომხრჩვალი იპოვეს;

25 დეკემბერი – თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს;

29 დეკემბერი – ვაკეში ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალი დააყაჩაღეს;

30 დეკემბერი – 19 წლის მამაკაცმა პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა, რის შემდეგაც ორი პოლიციელი გარდაიცვალა. (ნიუპოსტი)

# გაზეთებს „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ ულოცავენ შობა-ახალ წელს




გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ მადლობას გიხდით მოლოცვისთვის!

ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ წარმატებას!

## ინგა გრიგოლია „რუსთავი 2“-ს გაუბრაზდა: „ძაან ტეხავს... თქვენ რომ დაგხურონ, ასე უნდა ვიქილიკო?“



საახალწლოდ „რუსთავი 2“-ის ეთერში სატელევიზიო რეიტინგების შესახებ მომზადებულ სიუჟეტს ჟურნალისტი ინგა გრიგოლია გამოეხმაურა და კოლეგების მიმართ უკმაყოფილება გამოხატა:

– ხომ ძაან სასაცილოა და არაადეკვატურია დღეს ამის დაწერა... მაგრამ ვერ გადავხარშე, რომ არ დამეწერა, რა...

მოკლედ, ზარ-ზეიმით რომ გვამცნეს რეიტინგები „რუსთავი 2“-ზე, ასე თქვეს, თურმე, სადღაც 65-ე ადგილზეა 70 ადგილში კონკურენტი არხის დახურული გადაცემაო... ხოდა, არ ტეხავს??? სექტემბრიდან რომ აღარ იზომება, იმ გადაცემას რატომ აცხადებ 65-ედ, როცა თითქმის სულ გიგებდა??? და უბრალოდ დახურეს??? ხოოოო... „რუსთავი 2“, აგიხსნათ ეხლა, რამდენიმე თვის დახურული როა გადაცემა და ამ თქვენს „აღტაცებულ“ რეიტინგებში ასე ცინიკურად რომ აცხადებთ, როგორ ტეხავს??? ძაან ტეხავს, მეგობრებო... მე რა... მე უკვე აღარ მადარდებს ის არხი, მაგრამ ობიექტურობას ნუ დაკარგავთ, რა...

ვერაფრით ავხსენი დახურულ გადაცემაზე თქვენი სიამაყე... წინა თვეებს გადახედეთ, ეთერში რომ ვიყავით... ძაან გავბრაზდი...

დავეცე იქამდე, გრაფიკები რომ გამოვაქვეყნო??? ტეხავს... პაკა...

P.S. თქვენ რომ დაგხურონ, ასე უნდა ვიქილიკო??? – წერს ტელეწამყვანი სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

## ოზურგეთში გოლიათი ბიჭი დაიბადა



ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში გოლიათი ბიჭი ერეკლე სალუქვაძე დაიბადა.

ერეკლე საკეისრო კვეთით დაიბადა და მისი წონა 5კგ და 600 გრამია.

ერეკლეს მშობლები ქალაქ ოზურგეთში (ანასეულში) ცხოვრობენ.

როგორც კლინიკის დირექტორი დავით მდინარაძე აცხადებს, ერეკლე სალუქვაძე მეათე ახალშობილია, რომელიც ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში მიმდინარე 2016 წელს დაიბადა. (ნიუპოსტი)

**„ალია“ ულოცავს ერეკლეს მშობლებს ვაჟის დაბადებას და ყველაფერს საუკეთესოს უსურვებს!!!**

# ლიტვაში სწრაფი სესხების გამცემ კომპანიებს საქმიანობა აეკრძალათ... ორი მათგანი საქართველოშიც მუშაობს

## რა განუცხადეს „ალიას“ პარლამენტში

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



ეს ამბავი ახალ წლამდე მოხდა, სამწუხაროდ, საქართველოში არა, ლიტვაში – Vivus-სა და SMSCredit-ს ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა კრედიტების გაცემა აუკრძალა.

ორივე კომპანია 4finance Holding-ს ჯგუფს ეკუთვნის. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, კომპანიებს კრედიტების გაცემა დარღვევების გამო აეკრძალათ.

„ჩვენ ყველაზე მკაცრ სანქციას მივმართეთ, მრავალმხრივ განმეორებითი დარღვევის გამო. დარღვევები ძირს უთხრის ქვეყანაში ფინანსური სისტემების მიმართ ნდობას. ბაზრის მოთამაშის მხრიდან, ქვეყანაში არსებული კანონების დარღვევა მიუღებელია“, – განმარტეს ქვეყნის ცენტრალურ ბანკში.








ამ ინფორმაციის მიხედვით, ლიტვაში უფრო ჰუმანური ხელისუფლება და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცენტრალური ბანკი ყოფილა და მათთვის ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, უპირველესი თუ არა, მეასეხარისხოვანი მაინც არ არის. შესაბამისად, რადიკალური და სწორი ზომები მიიღეს – დარღვევების გამო, აღნიშნულ მიკროსაფინანსოებს კრედიტების გაცემა აუკრძალეს.

საქართველოში „ვივუსი“ ერთ-ერთი პირველი მიკროსაფინანსო კომპანია იყო, რომელმაც სესხების გაცემა დაიწყო. მას კი „ნეტკრედიტი“, „მინიკრედიტი“ და კიდევ სხვა ძალიან ბევრი „კრედიტი“ მოჰყვა...

**„ალიას“ „ახალგაზრდა ადვოკატების“ დამფუძნებელი, ადვოკატი მარიკა არევაძე ესაუბრება:**

**— ლიტვაში „ვივუსსა“ და „სმსკრედიტს“ ადგილობრივმა ცენტრალურმა ბანკმა სესხების გაცემა აუკრძალა. სწრაფი სესხების კუთხით, საქართველოში საშინელი მდგომარეობაა, ძალიან ბევრ ადამიანს აქვს აღებული სესხი მარტივად და მათი უმრავლესობა, ასევე მარტივად, შარშიც აღმოჩნდა. რა შეგიძლია ამაზე გვითხრა?**

– ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ონლაინკრედიტები და ესემესსესხები კონკრეტული რეგულაციებით არ რეგულირდება. ვფიქრობ, ეს გარკვეულ ხარვეზებს ქმნის პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც საბოლოო ჯამში, თვითონ მსესხებელზე, პროდუქტის მომხმარებელზე აისახება. დავიწყოთ იქიდან, რომ ძალიან მარტივად, ინფორმაციის გადაუმოწმებლად ხდება სესხის გაცემა, – სესხი შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერ პირზე, არ აქვს მნიშვნელობა, ის მუშაობს თუ არა, ანუ რეალურად, არის თუ არა გადამხდელუნარიანი, ამის შემოწმება არ ხდება. ეს განაპირობებს იმას, რომ ამ ფორმით გაცემული სესხები პრაქტიკულად მაღალი რისკის მატერიალურ აქტივებს განეკუთვნება და სესხის გამცემი კომპანია, თავის მხრივ, მაღალი რისკის წინაშე დგას, რომ თანხა შეიძლება ვერ იყოს ამოღებული და გაპრობლემდეს. ამის გამო, ისინი, სავარაუდოდ, თავის დაზღვევის მიზნით, იყენებენ საკმაოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთებს და გადამხდელუნარიანი მსესხებლისგან იღებენ ძალიან დიდ თანხებს, რაც ერთგვარად, მეტ-ნაკლებად აბალანსებს გადახდისუუნარო მომხმარებლის მიერ თანხის გადაუხდელობას.

**— და მერე ეს სამართლიანია?! თუ სხვა ვერ იხდის, ვისაც აქვს სესხის დაფარვის საშუალება, ის რატომ უნდა იხდიდეს, მსუბუქად რომ ვთქვათ, მართლაც არაადამიანურ პროცენტებს?**

– სულ ცოტა ხნის წინ მომმართა მოქალაქემ, რომელმაც ერთ-ერთი ონლაინსაკრედიტო დაწესებულებიდან გამოიტანა 500 ლარის სესხი, შემდეგ ერთი თვე გადაავადა და რახან გადავადების უფლებას იყენებდა, გადავადების თანხის გარდა, კრედიტის სრულად დასაფარად 500 ლარის ნაცვლად 600 ლარი მოსთხოვეს. ნახეთ, რამხელა განსხვავებაა უკვე ერთი თვის მანძილზე? შემდგომ, თუკი მსესხებელი ან გადავადებას ვეღარ შეძლებს, ან ვეღარ მოახერხებს სრული თანხის დაფარვას, ყოველდღიურ ვადაგადაცილებებზე იქ მაღალი საპროცენტო პირგასამტეხლოებია, რაც, საბოლოო ჯამში, მსესხებელს აზარალებს. ადამიანს უჭირს და ერთი შეხედვით, მარტივად აღებული სესხით შეუძლია პრობლემის მოგვარება, მაგრამ უარეს პრობლემაში ვარდება და შეიძლება, პირამიდის პრინციპში აღმოჩნდეს – ერთი სესხის გადასაფარად გამოიტანოს მეორე სესხი, შემდეგ მის გადასაფარად კიდევ გამოიტანოს მესამე სესხი და ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

**— ერთი რამ დავაფიქსირე: „მინიკრედიტს“ წლიურ საპროცენტო განაკვეთში მითითებული აქვს 240%, „ვივუსს“ წლიურ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში 435% უწერია, „ნეტკრედიტს“ კი საერთოდ — 730%. რას ნიშნავს ეს?**

– შინაარსობრივი თვალსაზრისით, ეს არის სესხის რეალური ღირებულება, ანუ რა უჯდება მსესხებელს კონკრეტული სესხი. საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა პროდუქტზე სხვადასხვაა. რაც შეეხება ამხელა საპროცენტო განაკვეთს: ჩვენთან, საქართველოში, ეროვნული ბანკი ადგენს მაქსიმალურ ზედა ზღვარს, რა შეიძლება იყოს პროცენტი სესხზე. ამ წუთისთვის ზუსტად არ ვიცი, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი რამდენია, მაგრამ ეს ნამდვილად არ იქნება 100, 200, 300 და მით უმეტეს 400 პროცენტი. ამიტომ აუცილებლად შესამოწმებელია, რამდენად ჯდება ამხელა საპროცენტო განაკვეთები კანონმდებლობის ფარგლებში.

**— ამხელა პროცენტის დაფიქსირება ანომალიურია, მომხმარებელი არ არის დაცული. საქართველოში არ არის იმის საშუალება, რომ ეროვნულმა ბანკმა მიხედოს ამ საკითხს?**

– ეროვნულ ბანკს შეუძლია, კონკრეტული საკითხები განიხილოს. თუკი ეს მის კომპეტენციას გასცდება, მაშინ უკვე ან საკანონმდებლო რეგულირებაში უნდა მოექცეს, ანუ პარლამენტის განხილვის თემა უნდა გახდეს, ან სამთავრობო დონეზე მოხდეს მისი განხილვა, რადგან საკითხი თავისი აქტუალურობიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს პრობლემა, პრაქტიკულად, საქართველოს თითქმის ყველა მოქალაქეს ეხება.

**— თუ მოქალაქეს გაუჭირდა სესხის დაფარვა, სერიოზული ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ ექცევა — კრედიტოფიცერი ლამის, ყოველდღიურად ურეკავს, ეუბნება, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში, საქმე იურიდიულ განყოფილებას გადაეცემა, ამ „სიკეთესთან“ ერთად, მომხმარებელს „მესიჯებიც“ ეგზავნება. თუ მოქალაქეს არ აქვს თავის სახელზე უძრავ-მოძრავი ქონება, ამ შემთხვევაში რა ხდება? როგორ იღებს გამსესხებელი კომპანია თანხას?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ უამრავი ზარი და „მესიჯი“ – ეს მორალური ზეწოლაა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში რეგულირებულია კანონმდებლობით, ან შესაბამისი ნორმატიული აქტით, როგორ უნდა მოხდეს პრობლემური სესხის ამოღება – რომელ საათზე შეიძლება მომხმარებელთან დარეკვა, რამდენჯერ, რა უნდა უთხრან მას, რომ ფსიქოლოგიურ ზეწოლად და ტერორად არ ჩაითვალოს... ჩვენთან ეს რეგულირება არ არის. ამჟამად ჩვენი ორგანიზაცია ამ სფეროსთან მიმართებაში ვახორციელებთ კვლევას, სადაც ამ საკითხებზეც იქნება ყურადღება გამახვილებული და მეტ-ნაკლებად გვექნება მცდელობა, საქართველოში კარგი პრაქტიკა დავნერგოთ და ამ კუთხით საკანონმდებლო წინადადებამდეც მივიდეთ, მათ შორის ონლაინსესხებთან მიმართებაში. რაც შეეხება გაპრობლემების შემთხვევაში თანხის ამოღებას: თუ თანხა გაპრობლემდა, მსესხებელს კი არ აქვს უძრავ-მოძრავი ქონება და არ აქვს მუდმივი, ან ზოგადად, სამუშაო ადგილი, ასეთ შემთხვევაში, თუკი გამსესხებელი კომპანია მიმართავს სასამართლოს, ბუნებრივია, ის სასამართლოს მოიგებს, უბრალოდ, აქ სასურველია, ჩაერთოს მსესხებელი, რათა, რაც შეიძლება ნაკლები პირგასამტეხლო დაეკისროს, ვიდრე ჩაურთველობის შემთხვევაში. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, გამოიცემა აღსრულების ფურცელი, მაგრამ მას აქვს ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა. იმ შემთხვევაში, თუ ამ 10 წლის განმავლობაში მსესხებელს თავის საკუთრებაში არ გაუჩნდება უძრავ-მოძრავი ქონება და არც შემოსავალი არ ექნება, მაშინ ეს გადაწყვეტილება გადაწყვეტილებად დარჩება და თანხა იქნება ამოუღებელი. ხოლო თუ მსესხებელს საკუთრებაში აქვს უძრავ-მოძრავი ქონება, რა თქმა უნდა, გაპრობლემებული აქტივის ამოღება მისი ქონებიდან მოხდება.

**„ალია“ საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ კახა ბარაბაძეს დაუკავშირდა. როგორც მან გვითხრა, ონლაინსესხები და საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ბანკის რეგულაციის ქვეშ არ არის.**

**ამის შემდეგ „ალია“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროს დავით ჭურაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო დავით, სწრაფი სესხების გამცემი კომპანიების საქმიანობასა და მათ მიერ დაწესებულ საპროცენტო განაკვეთებს ვინ აკონტროლებს?**

– როგორც ასეთი, აქ მაგას მაკონტროლებელი არ ჰყავს, იმიტომ, რომ ეს არის ჩვეულებრივი კერძო ბიზნესი. რაც შეეხება ლიტვას, ცენტრალური ბანკი ვერ აკრძალავდა ვერაფერს, თუ კანონმდებლობაში არ შევიდოდა ცვლილებები. ჩვენი კანონმდებლობით, ეს საკითხები დარეგულირებული არ არის. ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ამ საკითხის შესწავლა და მერე უნდა მოხდეს ამის დარეგულირება, თუ მოხდება. ზოგადად, ჩვენი კანონმდებლობით ასეთი რამ არ არის, არავის დაუყენებია.

**— რადგან კერძო ბიზნესია, ამიტომ მათი საქმიანობა არ უნდა დარეგულირდეს?**

– აი, მაგალითად, კერძო იპოთეკარები რომ არიან, მაგათ ხომ არავინ აკონტროლებთ? მათთან დაკავშირებით რომ პრობლემები გაჩნდა, შესაბამისი ცვლილებები შევიდა სამოქალაქო კოდექსში და კერძო იპოთეკარების მიერ გაცემულ სესხებზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი კანონით დადგინდა.

**— იპოთეკარებთან დაკავშირებით თუ დადგინდა, სწრაფ სესხებთან მიმართებაშიც რომ მოხდეს ეს, არ შეიძლება?**

– მე ხომ არ გეუბნებით, რომ არ არის შესაძლებელი? დარეგულირებაც შეიძლება, ზედამხედველობაც შეიძლება, რაღაც შემაფერხებელი ბერკეტების ჩართვაც შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენთან არ მოსულა ძალიან მაღალ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული მოქალაქეების განცხადებები. ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისთვის ვერ ვიხსენებ, გულახდილად გითხრათ. მაგალითად, ლომბარდების მაღალ საპროცენტო განაკვეთებზე იყო, ამასაც გულახდილად გეტყვით და ამასთან დაკავშირებით, მსოფლიო ბანკთან კონსულტაციებიც გვქონდა და ამაზე მუშაობა მიდის, მაგრამ ონლაინსესხებზე არ მახსოვს, ვინმეს საჩივარი დაეწერა, ან საკითხი დაეყენებინა ამ თემის დასარეგულირებლად.

**— ანუ კერძო იპოთეკარების მიერ დადგენილი მაღალი საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარის დადგენა მოქალაქეების მომართვიანობის თუ საჩივრების საფუძველზე რახან მოხდა, იმავე მოსახლეობამ რომ ონლაინსესხებთან დაკავშირებით მოგმართოთ და ამ საკითხის რამენაირად დარეგულირება გთხოვოთ, რეაგირებას მოახდენთ?**

– პრობლემა არ არის. მაგალითად, რაც თქვენ ახლა მითხარით, მე ჩავაყენებ მაგ ყველაფრის საქმის კურსში ხელმძღვანელობას, ვეტყვი, რომ მასეთი პრობლემებია და შეუძლებელი ნამდვილად არაფერია. აქ საუბარია იმაზე, როგორი იქნება მოთხოვნა.

# ახალი სკანდალი სასამართლო სისტემაში

## რატომ ალაპარაკდა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი?







**„ქართულ ოცნებაში“ იყო შეხვედრა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა, თეა წულუკიანი მივარდნილა და უთქვამს: ბატონო ბიძინა, თქვენ მე მამაჩემზე მეტი გამიკეთეთო“**

*გელა ზედელაშვილი*
*555 48-48-61*



ქართულ სასამართლო სისტემაში დიდი გაუგებრობა და დაპირისპირებაა. პრინციპში, ჩვენ მოსალოდნელ სკანდალებზე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვწერდით, მაგრამ თუ სიტუაცია ასე გამწვავდებოდა და საქმე ნინო გვენეტაძის გადადგომის მოთხოვნამდე მივიდოდა, მაინც არავინ ელოდა. ამ მოთხოვნით ერთი კვირის წინ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მამუკა ახვლედიანი გამოვიდა:

*„მე ვერ ვხედავ ვერანაირ განვითარებას ვერც ამ უზენაესი სასამართლოს პირობებში და ვერც ამ საბჭოს პირობებში. მე ცალსახად ვფიქრობ, რომ ნამდვილად, იუსტიციის საბჭოც უნდა წავიდეს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც უნდა წავიდეს იმიტომ, რომ ვერც ერთმა ვერ გაართვა მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავი. თუ ნამდვილად ვერ დავინახავ მიმართულებებს სასამართლო სისტემაში და სწორ განვითარებას, აქ მე არც ხელფასისთვის და არც სკამისთვის არ ვარ. ნამდვილად არ მინდა, რომ მახინჯი სისტემის ნაწილი გავხდე. მაგრამ არც ისე ჩათვალოს ვინმემ, რომ მარტივად, რახან არაფერი არ ხდება, სახლში წავალ, ასე ნამდვილად არ ვიქნები. ბოლომდე ვიბრძოლებ“.*

ახვლედიანის განცხადებას გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი – მან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ნინო გვენეტაძეს მოუწოდა, უფრო ძლიერი ხელით მართოს სასამართლო სისტემა, რათა ჩვენ არ ვიხილოთ ხოლმე ისეთი მოვლენები, როგორიც ვიხილეთ ჯერ იუსტიციის საბჭოში, შემდეგ კი საქალაქო სასამართლოში. მისი თქმით, ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს მისი კუთვნილი ადგილი სისტემაში და ეს უნდა უზრუნველყოს ხელმძღვანელმა. აი, აქედან დაიწყო „იმან თქვა, ამან თქვა, იმას მიუქარავს, ამას გადაუმლაშებია, ის კიდევ დაუკრეფავში გადასულა“. 4 იანვარს მამუკა ახვლედიანმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და ახლა იმის მტკიცება დაიწყო, რომ არავისი არ ეშინია. სხვათა შორის, აქ კატალიზატორის როლი შეასრულა ბიძინა ივანიშვილის განცხადებებმა, რომ თურმე სასამართლო ხელშეუხებელია, მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან და ლევან მურუსიძე, უბრალოდ, სისტემის მსხვერპლია. რასაკვირველია, ამის შემდეგ წარსულისა არც მამუკა ახვლედიანს უნდა ეშინოდეს, არც ლევან მურუსიძეს და შიშით არც ის ოდიოზური მოსამართლეები უნდა კანკალებდნენ, რომლებსაც ერთ-ორ თვეში ასევე მუდმივად დანიშნავენ.

შეგახსენებთ, როდესაც ლევან მურუსიძე სააპელაციოში გაამწესეს მოსამართლედ, მას ხმა მისცეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებმა – ევა გოცირიძემ, ვახტანგ თორდიამ და კახა სოფრომაძემ (ეს ადამიანები კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით მოხვდნენ საბჭოში). ამ გარიგებამ კი, რომლის მოწმენიც ჩვენ გავხდით, დიდი დემორალიზაცია გამოიწვია საზოგადოებაში და ისედაც შერყეული რეიტინგი უფრო შეურყია კოალიციას.

4 იანვარს გაიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა, სადაც მამუკა ახვლედიანის განცხადებები უნდა განეხილათ, მაგრამ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე სხდომაზე არ მივიდა. ამის შემდეგ კი გადაწყდა, იუსტიციის საბჭოს წევრები მისულიყვნენ საქალაქო სასამართლოში. ნინო გვენეტაძის თქმით, ახვლედიანმა უნდა განმარტოს, რას ნიშნავდა მისი განცხადებები მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის და სხვა საკითხების შესახებ. ახვლედიანი ძველ ჩვენებას ბოლომდე „აწვება“ და ახალსაც უმატებს – ის ამტკიცებს, რომ არსებობს მოსამართლეთა ერთი ჯგუფის კლანი. თუმცა კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს და ამ ეტაპზე ელისაშვილის პოზიციას ირჩევს, ანუ საკითხს სამკითხაოდ გვიხდის.

და მაინც... კონკრეტულად რა ხდება სასამართლო სისტემაში, ვინ ვის ინტერესებს იცავს და საერთოდ, რა „თამაში“ დაიწყო სისტემაში?

**„ალიას“ „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება:**

– მამუკა ახვლედიანი თეა წულუკიანთან მიმართებაში არის 100-პროცენტიანი. თუ შენ გინდა, რომ გყავდეს ნორმალური მოსამართლეები, მაშინ დადგენილი უნდა იყოს შერჩევის კრიტერიუმები. 3 წლის განმავლობაში წულუკიანმა ვერ წარმოადგინა ერთი კინკილა კანონპროექტი, რომელიც დაარეგულირებდა მოსამართლეების დანიშვნის ან არჩევის წესს. აი, ეს უნდა ყოფილიყო პირველი რეფორმა. ამას ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც საქმეების 50 პროცენტს იხილავს, ანუ ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურაა. გოცირიძემ, თორდიამ და სოფრომაძემ განცხადება გააკეთეს, ლევან მურუსიძეს იმიტომ მივეცით ხმა, მოსამართლეების დემორალიზაცია არ მომხდარიყო, გარდა ამისა, მურუსიძე სასამართლოში ავტორიტეტით სარგებლობსო, ეს ხომ კრიტერიუმები არ არის? ეს გახლავთ გავლენით ვაჭრობა. ფაქტობრივად, აქ იყო გარიგება, რათა მერე სხვა ოდიოზური ფიგურებიც დაენიშნათ. 3 წლის განმავლობაში „ქართულ ოცნებას“ ვინ უშლიდა ხელს, ესეც პენსიების გაზრდა ხომ არ არის და დენის ტარიფების შემცირება? დაწერე ელემენტარული კრიტერიუმები, ეს როგორ ვერ გააკეთა თეა წულუკიანმა? როგორ შეიძლება ამ ადამიანს ანდო სასამართლოს რეფორმა? ჩვენ რომ გვქონოდა შესაბამისი კრიტერიუმები, მურუსიძეს ვერავინ ვერ დანიშნავდა. მე დღეიდან იუსტიციის მინისტრს ვეძახი თეა მურუსიძეს, მაგისი ბრალია. აბა, წარმოიდგინე, კრიტერიუმებში რომ ჩაწერილიყო ასეთი რამ: „თუ მოსამართლის უკანონო მოქმედების გამო, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფომ გადაიხადა ფული დაზარალებულის სასარგებლოდ, ასეთი მოსამართლე არის უვარგისი“. ჩვენ ხომ ვიცით, რომ გირგვლიანის საქმე, ფაქტობრივად, მურუსიძემ წააგო ევროსასამართლოში? ახლა რა ვიფიქროთ, თეა წულუკიანი გარიგებაში არ არის შესული მოსამართლეებთან? ახლა ზაზა მეიშვილი უნდა დანიშნონ სადმე მოსამართლედ, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია და ვადა ეწურება ერთ თვეში. ესეც სააკაშვილის რეჟიმის გამოჩენილი ფიგურა გახლდათ. თავისუფალი სიტყვისა და გამოხატვის „ბურჯს“, თამაზ ურთმელიძესაც უმთავრდება ვადა, ესეც უნდა დანიშნონ. როცა არ გაქვს კრიტერიუმები, ყველას დანიშნავენ. გახსოვს, ირაკლი ალასანია რომ გადააყენეს? მეორე თუ მესამე დღეს „ქართულ ოცნებაში“ იყო შეხვედრა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა, თეა წულუკიანი მივარდნილა და უთქვამს: ბატონო ბიძინა, თქვენ მე მამაჩემზე მეტი გამიკეთეთო. ისეთი ფამილარობა დაიწყო, თამაზ მეჭიაურსაც კი გაუკვირდაო. ამის შემდეგ წულუკიანი თანამდებობიდან აღარ გაუშვეს და ხელშეუხებელიც კი გახდა. შემდეგ მურუსიძე დაგვინიშნეს, ალბათ, ხადურიც ეუბნება, მამაჩემზე მეტი გამიკეთეო და ამიტომაც არ ხსნიან. მე არ ვიცი, ამ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში ვისი იმედი აქვს, წულუკიანით და მურუსიძით აპირებენ გასვლას? ვააა, ბიძინა ივანიშვილს 2012-ში რომ ეთქვა, მურუსიძე ჩემი ფავორიტი მოსამართლე იქნებაო, ხმას ვინ მისცემდა?

**— ზაზა, ეს მამუკა ახვლედიანი გახმაურებულ საქმეებში ფიგურირებს? ვიცი, რომ 1999-2005 წლებში მუშაობდა უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების კანცელარიის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. შემდეგ ეკავა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსის თანამდებობა. 2007-2012 წლებში იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. ფაქტობრივად, სააკაშვილის რეჟიმის მოსამსახურე იყო. საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ 2012 წლის ნოემბერში დაინიშნა, ანუ უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში.**

– არ ვიცი, მე გახმაურებულ საქმეებში მისი გვარი არ შემხვედრია... ფაქტი ერთია, დღეს ეს კაცი არის მართალი და ამბობს ჭეშმარიტებას, თუ არ იქნება კრიტერიუმები, მოსამართლეებად დაინიშნებიან საეჭვო წარსულის მქონე ადამიანები.

**— ახვლედიანი ამბობს, ნინო გვენეტაძეც უნდა გადადგესო, ამაშიც მხარს უჭერ?**

– არა, დღეს ნინო გვენეტაძე არის სასამართლოს სინდის-ნამუსი. მე მას მხარს ვუჭერ, მაგრამ ის მთავრობამ, წულუკიანმა და ივანიშვილმა დატოვეს მარტო, ისინი დადგნენ ლევან მურუსიძის მხარეს. მთელი სახელისუფლებო ელიტა იბრძვის, რომ გვენეტაძემ რეფორმა ვერ ჩაატაროს.

**— როდესაც თეა წულუკიანი გვენეტაძეს მოუწოდებს, მკაცრი ხელით მართე სასამართლოო, ეს არის თუ არა ჩარევა? მეორე — ახვლედიანი რაღაც კლანზე ლაპარაკობს.**

– რა თქმა უნდა, ეს არის პირდაპირი ჩარევა, წულუკიანმა საერთოდ არ იცის, სად რა უნდა თქვას. არადა, მეგონა, ყველაზე კარგი მინისტრი იქნებოდა და მხარსაც ვუჭერდი, თან ევროპის სასამართლოში მუშაობდა. რაც შეეხება კლანს, ეს ახვლედიანმა უნდა გაშიფროს.

**— ზაზა, რა თამაშს თამაშობს იუსტიციის საბჭოს სამი არამოსამართლე წევრი? ფაქტია, თუკი ისინი დგანან მურუსიძის მხარეს, გამოდის, დგანან ხელისუფლების მხარეს და ებრძვიან ნინო გვენეტაძეს.**

– მოდი, სიმართლეს გავუსწოროთ თვალი: გვენეტაძე დანიშნა პრეზიდენტმა, რომელმაც არ გაითვალისწინა ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ პოზიცია. მარგველაშვილს რომ დაენიშნა ივანიშვილის კაცი, ეს ამბები აღარ დატრიალდებოდა. დღეს გვენეტაძეს ებრძვიან ოდიოზური ფიგურებით და იმ „სამეულის“ ხელით. მაგალითად, ვახტანგ თორდია არის ყოფილი საბჭოთა მოსამართლე, რომელიც დაინიშნა ივანიშვილის პირადი მოთხოვნით. ევა გოცირიძე – შევარდნაძის პარტიული ნომენკლატურა, მინდია უგრეხელიძის მეუღლე. თეა წულუკიანი არის მინდიასა და ევას ოჯახის თითქმის წევრი, როდესაც ესენი სტრასბურგში ცხოვრობდნენ, თეაც იქ იყო, ერთად მუშაობდნენ. ხედავ, წრედი სად იკვრება?

**— მაშინ საქმე სადამდე შეიძლება მივიდეს, გვენეტაძეს მოიშორებენ?**

– არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს, გვენეტაძეს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ახლა მურუსიძეები და მეიშვილები სჭირდებათ. დაუკვირდი, მურუსიძე დანიშნეს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში, რომელიც იხილავს საარჩევნო დავებს და არის ბოლო ინსტანცია. დამთავრდა, ამით ყველაფერია ნათქვამი. მე თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ნინო გვენეტაძეს, მას შეუძლია, ჰქონდეს ჩვენი, სამოქალაქო საზოგადოების იმედი, ყველანაირად დავუდგებით მხარში.

## მკვლელობა ფონიჭალაში — 23 წლის ბიჭი რელიგიურ ნიადაგზე, ინტერვიუს გამო, მოკლეს



23 წლის ფიქირათ ახმედოვი სოფელ ფონიჭალაში დაკრძალეს. ახალგაზრდა დანით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით, თავდასხმიდან მესამე დღეს გარდაიცვალა.

ოფიციალური ინფორმაციით, ახმედოვი თანასოფლელმა მოკლა. პოლიცია რამინ ისაევს ეძებს, რომელმაც, „კურიერის“ ინფორმაციით, საქართველოს საზღვარი ინციდენტის დღეს ე.წ. წითელი ხიდიდან გადაკვეთა.

ადგილობრივების თქმით, ახალგაზრდა მისივე თანასოფლელმა რელიგიურ ნიადაგზე მოკლა. მკვლელობას წინ ე.წ. ვაჰაბისტ მუსლიმანებსა და სოფლის რელიგიურ უმრავლესობას – ტრადიციული ისლამის მიმდევრებს შორის დაპირისპირება უძღოდა.

23 წლის ფიქირათ ახმედოვს, ადგილობრივების თქმით, რადიკალური ისლამის მიმდევრებმა პასუხი იმ ინფორმაციის გამო მოსთხოვეს, რომელიც მედიასაშუალებით გაშუქდა. კერძოდ, ინტერვიუში ახმედოვი ამბობდა, რომ სოფელში ე.წ. ვაჰაბისტები ერთ-ერთი სახლის სარდაფში იკრიბებოდნენ.

მოკლულის ახლობლების თქმით, ფიქირათ ახმედოვს სასიკვდილოდ ამ სიტყვების გამო გაუსწორდნენ.

სოფელში ამბობენ, რომ რადიკალური ისლამის მიმდევრების სამლოცველოს დახურვისა და გაუქმების მოთხოვნით ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობას არაერთხელ მიმართეს. რამდენჯერმე შეაგროვეს ხელწერილებიც, რომელიც ამ დრომდე უპასუხოა. (rustavi2.com)

## უამინდობის გამო ქვეყნის მასშტაბით კვლავ შეზღუდვებია



უამინდობის გამო ქვეყნის მასშტაბით კვლავ შეზღუდვებია, ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ37-კმ71 (ტყიბული-ამბროლაური) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კმ37-კმ50 (ნაქერალას ულელტეხილი) მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო კმ50-კმ71 მონაკვეთზე თავისუფალია. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

უამინდობის გამო ვერ შესრულდა დაგეგმილი რეისები ქუთაისის აეროპორტში. (პირველი რადიო)

## ტრაგედია თბილისში — მატარებელმა 28 წლის ბიჭი გაიტანა




თბილისში, ქსნის ქუჩაზე მატარებელმა ახალგაზრდა ბიჭი გაიტანა. 28 წლის ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## წყლის გამანაწილებელი კომპანიების რჩევები მოსახლეობას ყინვასთან დაკავშირებით



GWP-ს, „რუსთავის წყლისა“ და „მცხეთის წყლის“ მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში წყალგამანაწილებელი კომპანიები, ძლიერ ყინვასთან დაკავშირებით, მოსახლეობას სიფრთხილის გამოჩენას სთხოვენ და წყლის მილების მოყინვის თავიდან ასაცილებლად საგანგებო ზომების მიღებას სთხოვენ.

კერძოდ, კომპანიები გამრიცხველიანებულ აბონენტებს 1-დან 5 იანვრის ჩათვლით გარეთ განლაგებული მილებისა და აღრიცხვის კვანძების შეფუთვისა და ონკანის მოშვებული წყლის მცირე ჭავლით დატოვებას ურჩევენ. განცხადების თანახმად, რეკომენდაციების გათვალისწინება განსაკუთრებით აუცილებელია თბილისის ზედა ზონების მოსახლეობისა და იმ აბონენტებისთვის, რომლებთანაც არსებობს კომუნიკაციების მოყინვის დიდი ალბათობა.

აგრეთვე, კომპანიების განცხადებით, აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ დღეებში მოხდება დარიცხული საფასურის კორექტირება. (ნიუპოსტი)

## იაროსლავში ხანძრის შედეგად 4 ბავშვი დაიღუპა



იაროსლავის ოლქში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად 5 ადამიანი, მათ შორის 4 ბავშვი დაიღუპა.

ცეცხლი, სავარაუდოდ, მოკლე ჩართვამ გამოიწვია. მიუხედავად სახანძრო და სამაშველო სამსახურების მობილიზებისა, საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა. მაშველებმა 23 ადამიანის ევაკუაცია მოასწრეს. (ნიუპოსტი)

ახალი წლიდან საქართველოში ზოგიერთი დასახელების სიგარეტი საგრძნობლად გაძვირდა. როგორც სავაჭრო ჯიხურებში აცხადებენ, ფასები მნიშვნელოვნადაა მომატებული „პარლამენტზე“, „მარლბოროზე“, „ჩესტერფილდსა“ და „ელემ“-ზე.

თამბაქოს გაძვირების თემას „ფეისბუკში“ აქტიურად ეხმაურებიან:

**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

„გამოსავალი მხოლოდ ერთშია. მას დავაწყებინოთ მოწევა, თორემ ასე შეიძლება სტაფილოს სმაც დაგვაწყებინონ უზმოზე. აწი ყველას გაგვაერთიანებს პრიმა.

გავიგე, რომ თურმე ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავთ და იქნებ სიგარეტის გაძვირებას დაამატოთ:

1. Fast food-ის აკრძალვა, (მავნებელია ჯანმრთელობისთვის)

ისევე როგორც

2. სასმელი.

3. ღორის ხორცი. (ზოგადად, ქართული სამზარეულო)

4. გამონაბოლქვი ქალაქში.

5. ნერვიულობა. (განსაკუთრებით ცუდია ჯანმრთელობისთვის)

6. უსექსობა. (რომელიც დანერვოზებულ ერს ეტყობა)

7. იძულებითი გავხადოთ ბანაობა. მინიმუმ წყლის გადავლება. იმიტომ, რომ რთულია თქვა, ჩვენს ჯანმრთელობას სიგარეტის კვამლი უფრო აზიანებს, თუ ოფლის ოხშივარი!

ისედაც ფარისეველ ერს, არ გვინდა სხვის ჯანმრთელობაზე ასე შეწუხება. ყველამ საკუთარს მივხედოთ“.

**სტეფანე მღებრიშვილი:**

„ამერიკაში სიგარეტი ძვირი რომ ღირს, ქე მაინც იქ უკეთესი სიგარეტია. აქაური სიგარეტი ძროხის შარდში ამოვლებული ნაგავია. ეგ კი არ უნდა გააძვიროთ, უნდა აკრძალოთ!

პ.ს.: მარიხუანა შემოიღეთ აფთიაქებში. ნამდვილად გვესაჭიროება...“

**ნათია კობერიძე:**

„რამდენი ასეული პროცენტით გააძვირეს აქციზი თამბაქო-ალკოჰოლზე? არჩევნებში, ადმინისტრაციულ რესურსში გაუშვებენ ამ ფულს, მე ვიყო ქოცი თუ არა“.

**ზურაბ ჭიაბერაშვილი:**

„ერთი რეცეპტმა შეამცირა მედიკამენტების მოხმარება და მეორე სიგარეტის გაძვირება შეამცირებს მწეველთა რიცხვს“.

**ზაზა ბიბილაშვილი:**

„სულ ტყუილად ქილიკობთ სიგარეტის ფასზე. აი, ნახავთ, 2017 წლიდან სიგარეტის ფასის შეუქცევადი დალმავლობის პროცესი დაიწყება. საქართველო იქნება ლიდერი დალმავლობაში“.

**გოგი გვახარია:**

„ძველი ბოზები რომ ფოფხვას იწყებენ, იმათ მაგონებენ დღეს ეს ყოფილი მწეველები:)

პ.ს. მეც არ ვეწევი 4 თვეა“.

**მაია დარსმელიძე:**

„არამწეველებს რომ გიხარიათ სიგარეტის გაძვირება, რა საყვარლები ხართ. ღმერთმა გაგიძვიროთ სიგარეტის თქვენებური ეკვივალენტი.

ეს წყევლა არ არის, არამწეველი მორალისტების ტრ**ის დასაყენებელი საახალწლო სურვილია, სრულიად უვნებელი.

გაძვირების გამო თავს რომ დაანებებ, ესე იგი გაიძულებენ. ჯერ ხელფასები და სოციალური მდგომარეობა გაგვიუმჯობესონ და მერე გააძვირონ – მოსულა. მგონი, უნდა გვქონდეს უფლება, თავად ვირჩევდეთ, გვინდა თუ არა მოვკვდეთ ჯანმრთელები.

არამწეველების უფლებებისა და პირობების დაცვის მომხრე ვიყავი ყოველთვის. უნდა გახსნან ასეთი კლუბები ან გადააკეთონ ნაწილი მაინც არამწეველებისთვის.

მე პირადად, მიუხედავად იმისა, რომ მწეველი ვარ (თან ძაან მწეველი), ხშირად ვხვდები არამწეველთა გარემოში... უპრობლემოდ ვემორჩილები იქაურ წესებს და ჩვეულებრივად არ ვკვდები იქ, სადაც არ ეწევიან.. ან ჰაერზე გავდივარ, ან ვითმენ, ყოველგვარი ტრაგედიის გარეშე“.

**ირინა სარიშვილი:**

„ყველა, ვინც ეწევა, მაინც მოწევს, ოღონდ უფრო დაბალხარისხიანსა და გაცილებით მავნეს ჯანმრთელობისთვის, ვიდრე დღეს უკვე 8,9 და 11-ლარიანი სიგარეტებია.

ყველა, ვინც არ ეწევა და ან ხარობს, ან კიდია, რაც მოხდა, წარმოადგენს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებისთვისაც მხოლოდ საკუთარი უფლებები არსებობს და სხვისი – არა...

ყველა, ვინც თვლის, რომ ეს ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯია, ფარისეველია და თუ არა, მაშინ იგივეს უნდა თვლიდეს ზეთზე, წონადაკლებულ პურზე, კარაქზე, ხორცზე, ბოსტნეულზე, ხილზე და... ბენზინზეც, რომელიც ყველგან იაფდება, გარდა რუსული ზონისა...

ყველას, ვინც თვლის, რომ ეს ფასები ევროპულია და აბა, რა გინდოდათო, „ავიწყდება“, რომ ევროპაში და ზოგადად, დასავლეთში (მათ შორის, აშშ-ში), ეს ფასები შესაბამისი შემოსავლის პირობებში დაწესდა, სადაც ადამიანი თავად წყვეტს, უნდა თუ არა, და არა შეუძლია თუ არა, მაღალი ფასის გადახდა სიგარეტში, ალკოჰოლში და ა.შ.

მოკლედ, ყველას, ვისაც სხვა კიდია...

სტატუსი: გაიქეცი, გუგულა, გაიქეცი“.

**თამუნა ლეკვეიშვილი:**

„ვისაც სიგარეტის გაძვირება გიხარიათ, რა გიხარიათ?“

**ნიკა ქავთარაძე:**

„სექსის მერე მოწევა თავად სექსზე სასიამოვნო გახადეს!“

თამბაქოს გაძვირებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში იუმორისტული პოსტერებიც ვრცელდება. (ambebi.ge)

## გამოხმაურებები და იუმორისტული პოსტერები თამბაქოს გაძვირების თემაზე
















## მეტროსადგურ „დელისში“ მამაკაცი გარდაიცვალა



მეტროსადგურ „დელისში“ მამაკაცი გარდაიცვალა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, შემთხვევა მიწისქვეშა გადასასვლელის გვირაბში მოხდა. მათივე ინფორმაციით, ხანდაზმულ მამაკაცს დაზიანებები არ აღენიშნება და ის, სავარაუდოდ, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

უწყების ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვლილს ექსპერტიზა ჩაუტარდება. (ინტერპრესნიუსი)

## დავით ნარმანია — მერიას 5 ათასი ტონა ტექნიკური მარილის მარაგი აქვს



თბილისის მერიას 5 ათასი ტონა ტექნიკური მარილის მარაგი აქვს, – ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

მისივე თქმით, თოვლის გამო, ახალი წლის ღამეს თბილისს შემოერთებულ ტერიტორიებზე ქვიშა მარილი უკვე დაყარეს.

– ჯერჯერობით ტექნიკური მარილის დაყრის აუცილებლობა არ არის. არის ცალკეული ტერიტორიები, სადაც 1-ელ იანვარს, გამთენიისას მოვიდა თოვლი. ეს არის თბილისს შემოერთებული დასახლებები, სადაც ვიმუშავეთ და დავყარეთ ქვიშამარილი. სადაც საჭიროება იქნება, ყველგან დავყრით. 5 ათასი ტონა ტექნიკური მარილის მარაგი გვაქვს იმისთვის, რომ ქალაქს არ მოაკლდეს ხელი, – განაცხადა დავით ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## 65 წლის ასაკში ლეგენდარული მომღერალი ნატალი კოული გარდაიცვალა



აშშ-ში 65 წლის ასაკში ცნობილი მომღერალი ნატალი კოული გარდაიცვალა. 9 გრემის მფლობელი ნატალი, ლეგენდარული ჯაზმენის ნეტ კინგ კოულის შვილი იყო. მომღერალი ლოსანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა.

„ბიბისის“ ინფორმაციით, მომღერლის გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, ნარკოტიკებს უკავშირდება.

კოულის ოჯახი გარდაცვალებას მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ მიზეზებს უკავშირებს, რომელსაც ნატალი ბოლო წლების მანძილზე აქტიურად ებრძოდა. კოული ნარკოდამოკიდებული იყო, მას ასევე პრობლემები ჰქონდა ჰეპატიტთან დაკავშირებით. 2009 წელს მან ღვიძლის გადანერგვაც გაიკეთა.

ნატალი კოულის კარიერა 11 წლის ასაკში დაიწყო, როცა მან პირველად სცენაზე მამასთან ერთად იმღერა. ნატალი 19-ჯერ იყო გრემის ნომინაციაზე წარდგენილი, აქედან მხოლოდ 9-ჯერ გახდა მისი მფლობელი. მომღერალს რამდენიმე ფილმშიც აქვს მონაწილეობა მიღებული. (ნიუპოსტი)



1. საკვები ცხიმი
2. საიუველირო ქვა
3. ტბა დუშეთის რაიონში
4. ქალაქი ყირიმზე
5. იტალიელი მხატვარი
6. კავშირი, გაერთიანება
7. მამლის ჯიღა
8. „დათა თუთაშხია“ მუშნი ...
9. ვაზის ჯიში
10. მსახიობი ... ბოცვაძე
11. ... კლარჯეთი
12. სახელმწიფო ევროპაში
13. მდინარე დარიალის ხეობაში
14. მევიოლინე ... ისაკაძე
15. იაპონური ავტომობილი
16. გაუშლელი ყვავილი
17. კაის მეგობარი გოგონა
18. მუსლიმანური მარხვა
19. დასასვენებელი, ... ზონა
20. პოსტამენტი, ...
21. ვულკანის ყელი
22. მსახიობი ... ბერინგი
23. სიდიოფალა
24. სატირული მიბაძვა
25. თაღი
26. სლავური ანბანი
27. ნიშნავს ცხოველურს
28. მომღერალი ... ლავინი
29. „... ჭკუისაგან“
30. მანათობელი მწერი
31. რეჟისორი ... პარკერი
32. ბუმის მზარეული
33. ძაღლის ნაშიერი
34. ბიბლიური მთა
35. ამერიკელთა მეტსახელი მექსიკაში
36. ტროპიკული ბუზი
37. დიდი ხნის უწვიმარი ამინდი
38. მტაცებელი ფრინველის ფრენა
39. მ/ფ „... სახლში“
40. გიტარის მავთული
41. ფრინველების დიდი გუნდი
42. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
43. ტროპიკული ნაყოფი
44. „...ლის ბიჭები“ პერსონაჟი
45. დიუმა. „... წლის შემდეგ“
46. ებრაული სალოცავი ტაძარი
47. მ/ფ „...“ პერსონაჟი
48. ქვეყნიერების დასასრული
49. მხატვარი ედუარდ ...
50. მუზების მფარველი ღმერთი
51. მსახიობი ... ჰაიეკი
52. მწერალი ... ჩეხოვი
53. სამწლიანი ცხენების დოღი
54. ხორბლის გასალეწი მოედანი
55. ზღვრული ნორმა
56. სანტა-კლაუსის სამშობლ. მხარე
57. იაპონური მულტიპლიკაცია
58. იაპონელი თვითმკვლელი
59. მსახ. ... მაკგრეგორი
60. პირატების მიერ გემის დაპყრობა
61. ფუტკრების სახლი
62. მარცვლოვანი მცენარე
63. მათემატიკის ნაწილი
64. პულსის ადგილი ხელზე
65. თეატრის კოლექტივი
66. ვირას საპირისპირო ბრძანება
67. მხატვარი ... მოდილიანი
68. ტუალეტის წყალი
69. ინერტული აირი
70. სანკტ-პეტერბურგის არქიტექტორი ბართოლომეო ...
71. ისტ. ოლქი საფრანგეთში
72. სპორტის სახეობა
73. ჭავჭავაძ. „... ნაამბობი“
74. ხრიკი, ოინი
75. ინდური კაბა
76. ის, ვინც სისხლს გასცემს
77. თანავარსკვლავედი
78. ქართული ორთაბრძოლა
79. მ/ფ „... ხვიტია“
80. მოტორიანი ნავი
81. აშშ-პრეზიდენტი რონალდ ...
82. სოფელი გორის რაიონში
83. პატარა არხი
84. კომპოზიტორი ნინო ...
85. მცენარ. ხედავს მზეს
86. ჩრდილოეთის ირემი
87. დრო
88. ხელით სამართი ვაგონეტი
89. დოსტოევსკის რომანი
90. მსახიობი ... დე ფიუნესი
91. ბალერინა ... ნიორაძე
92. „დრაკულა“ ავტორი
93. მწერალი სომერსეტ ...
94. თხის წინაპარი
95. ვენეციური ნავი
96. მდინარე საფრანგეთში
97. მწერალი ... ქიაჩელი
98. ... ლოიდ ვებერი
99. საგრაფო ინგლისში
100. ვულკანი სიცილიაზე
101. სიმსივნის ფორმა
102. მსახიობი ვივიენ ...
103. ქედი რუსეთში
104. ავსტრალიური ველური ძაღლი
105. ნიშნავს საწინააღმდეგოს
106. სომეხი რევოლუციონერი
107. მწვანე ადგილი უდაბნოში
108. ქალაქი შიდა ქართლში
109. ხორთუმიანი ცხოველი
110. მელა ალისა და კატა ...
111. ციტრუსი
112. ფაშის წვნიანი
113. მსუბუქი ალკოჰოლ. სასმელი
114. საჭადრაკო ტერმინი
115. მდინარე კახეთში
116. სტადიონი ერევანში
117. რეპტილია
118. ბილიარდის ჯოხი
119. გიორგი საკაძის ვაჟი
120. კეთილი მოჩვენება
121. თავის წინა მხარე
122. ცისარტყელას ქალღმერთი
123. დიზაინერი ... ბარგრი
124. ცხენის სამართავი ღვედი
125. მომღერალი ... მარტინი
126. ძვირფასი ლითონი
127. მსახ. ... უიზერსპუნი
128. ბალზაკი. „მამა ...“
129. „კავკ. ცარცის წრე“ მოსამართლე
130. ნიშნავს ცოცხალს
131. დაბალფასიანი
132. შოტლ. „რობ ...“
133. სამზარეულოს ჭურჭელი
134. სერიალი „... ქალაქში“
135. ყვავილი
136. შხამიანი გველი
137. მსახიობი ... ბერიმორი
138. მშვილდით სასროლი ჯოხი
139. ბურღულეული
140. რიცხვი 3,14
141. იაპონური ფულის ერთეული
142. მსახ. ... კვირიკაშვილი
143. ... სუხიშვილი
144. ბალახი

პასუხები: 1. მარგარინი; 2. მარგალიტი; 3. ბაზალეთი; 4. სევასტოპოლი; 5. ტინტორეტო; 6. უნია; 7. ბიბილო; 8. ზარანდია; 9. ალადასტური; 10. ზეინაბ; 11. ტაო; 12. ნიდერლანდი; 13. თერგი; 14. ლიანა; 15. „ჰონდა“; 16. კოკორი; 17. გერდა; 18. რამაზანი; 19. რეკრიაციული; 20. კვარცხლბეკი; 21. კრატერი; 22. ანეტ; 23. თრითინა; 24. პაროდია; 25. არკა; 26. კირილიცა; 27. ზოო; 28. ავრილ; 29. ვაი; 30. ციცინათელა; 31. ალან; 32. კოკი; 33. ლეკვი; 34. არარატი; 35. გრინგო; 36. ცეცე; 37. გვალვა; 38. ირაო; 39. მარტო; 40. სიმი; 41. ბაზარი; 42. სან; 43. ბანანი; 44. ბოლოკა; 45. ოცი; 46. სინაგოგა; 47. ბერუა; 48. აპოკალიფსი; 49. მანე; 50. აპოლონი; 51. სალმა; 52. ანტონ; 53. დერბი; 54. კოლა; 55. ლიმიტი; 56. ლაპლანდია; 57. ანიმე; 58. კამიკაძე; 59. ევან; 60. აბორდაჟი; 61. სკა; 62. ბრინჯი; 63. ტრიგონომეტრია; 64. მაჯა; 65. დასი; 66. მაინა; 67. ამედეო; 68. ოდეკოლონი; 69. არგონი; 70. რასტრელი; 71. ნორმანდია; 72. ფარიკაობა; 73. გლახის; 74. ფანდი; 75. სარი; 76. დონორი; 77. ორიონი; 78. ხრიდოლი; 79. მაცი; 80. კატერი; 81. რეიგანი; 82. სკრა; 83. რუ; 84. როტა; 85. მზესუმზირა; 86. მარალი; 87. ჟამი; 88. დრეზინა; 89. „იდიოტი“; 90. ლუი; 91. ირმა; 92. სტოკერი; 93. მოემი; 94. ნიამორი; 95. გონდოლა; 96. ლო; 97. ლეო; 98. ენდრიუ; 99. კენტი; 100. ეტნა; 101. ნიომა; 102. ლი; 103. ურალი; 104. დინგო; 105. ანტი; 106. კამო; 107. ოაზისი; 108. გორი; 109. ტაპირი; 110. ბაზილიო; 111. მანდარინი; 112. ხაში; 113. ლიქიორი; 114. როქი; 115. იორი; 116. რაზდანი; 117. კუ; 118. კიი; 119. პაატა; 120. კასპერი; 121. სახე; 122. ირიდა; 123. ზალიკო; 124. ლაგამი; 125. რიკი; 126. ოქრო; 127. რიზ; 128. გორიო; 129. აზდაკი; 130. ბიო; 131. იაფი; 132. როი; 133. ქვაბი; 134. შუა; 135. ია; 136. ეფა; 137. დრიუ; 138. ისარი; 139. მაკარონი; 140. პი; 141. იენა; 142. მზია; 143. ილიკო; 144. იონჯა. იკითხება: გიგზავნით ჰაეროვან კოცნას.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მისი დედაქალაქია ჰელსინკი
2. ნათელმხილველი
3. მონადირე ფოტოგრაფი
4. ძაღლების სპეციალისტი
5. ინდოელისადა ევროპელის შთამომავალი
6. სლავური ანბანი
7. მატყუარა
8. ანტიკური სცენის გუნდი
9. ვულკანი სიცილიაზე
10. ბრონტე. „ჯეინ ...“
11. ერთ-ერთი მეუღლე
12. შვარცენეგერი ფილმში
13. გოგოლის მოთხრობა
14. თანამედროვე ხუროთმოძღვარი
15. მისი დედაქალაქია მანილა
16. უმცროსი მედიცინის მუშაკი
17. მსახიობი ... უსტინოვი
18. 1000კგ
19. იაპონელი მწერალი ... აბე
20. გაფორმება, ჩუქურთმა
21. სიახლე ტექნიკაში ...-ჰაუ
22. კუნძული ავსტრალიასთან
23. დიდი ქალაქების გაერთიანება
24. წყალში გახსნილი შაქარი
25. სპორტის სახეობა
26. მწვერვალი კავკასიონზე
27. სპექტაკლი „მონუცი ...“
28. მწერალი ... შჩედრინი
29. რეჟისორი ჯონ ...
30. ქართ. ხალხური ზღაპარი
31. სოფელი ბაღდათის რაიონში
32. მონათა აჯანყების მეთაური
33. ფიქრები მომავალზე
34. ნამცხვარი
35. თეფში
36. მომღერალი ... სოხაძე
37. სიგრძის ინგლის. საზომი ერთეული
38. ელვის ... პრესლი
39. ფეთქებადი ნივთიერება
40. ცურვის სტილი
41. პურის კიდე
42. კეთილთვისებიანი სიმსივნე
43. გაზაფხულის თვე
44. სამატომიანი ჟანგბადი
45. მსახიობი უაინონა ...
46. ქალის პატარა ხელჩანთა
47. მსახიობი ... შარიფი
48. რომაელი იმპერატორი
49. მონადირე ფრინველების დამგეშავი
50. მისი დედაქალაქია ჯაკარტა
51. მსახიობი მერაბ ...
52. რიცხვი ექვსი ნულით
53. ყველიანი მჭადი
54. თეთრგვარდიელი გენერალი
55. ჯარი (ძვ.)
56. ჰომეროსის პოემა
57. რეჟისორი ფრანკო ...
58. ინერტული აირი
59. მსახიობი ზვიად ...
60. გულის მთავარი სისხლძარღვი
61. ბატკნების მოგების პერიოდი
62. ბეწვის პალტო
63. ღრიანკალი
64. მისი დედაქალაქია ტოკიო
65. მოციგურავე ირინა ...
66. ქართ. გლეხის ტყავის ფეხსაცმ.
67. მსახიობი ... კინსკი
68. მწყემსის ინსტრუმენტი
69. ფარული დაცინვა
70. მიცვალებულთან გამოსათხოვარი სიტყვები
71. ედრიან ბროუდი ფილმში
72. მსახიობი ... პიტი
73. ქალაქი ყირიმზე
74. ... გათეთრდების ყორანი
75. მახრჩობელა გველი
76. მხატვარი რაფაელ ...
77. მსახიობი ... პაპასი
78. ღვიძლის ძეხვი
79. მორბენალი ფრინველი
80. რუს მხატვართა გაერთიანება. ჰქონდათ გადასატანი გამოფენა
81. ქორწილის სტუმრები
82. მომღერალი ... პიაფი
83. ქართ. ხალხური ზღაპარი
84. მოქანდაკე ... ჩელინი
85. ცხრაკაციანი ანსამბ-ლი
86. ქიმიური ელემენტი
87. იტალიის დედაქალაქი
88. ათასწლეულის დასასრული
89. ბეთჰოვენ. „... სონატა“
90. სახელმწიფო აფრიკაში
91. მსახიობი მეგ ...
92. განმუხტვა ღრუბლებს შორის
93. ქალაქები ჰიროსიმა და ...
94. ცხვრის ქონი
95. სასროლეთი
96. მწერალი ... ლინდგრენი
97. თბილისის უბანი
98. მცენარე. ხდიან ტეკილას
99. მდ. სანკტ-პეტერბურგში
100. გარეული ცხვარი
101. სოფელი მარნეულის რაიონში
102. მისი დედაქალაქია დუბლინი
103. მიქელანჯელოს სკულპტურა
104. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
105. სოკოს მიკროსკოპული ჩანასახი
106. შვედური ავტომობილი
107. საყოფაცხოვრებო ნარჩენი
108. ... ხაჩატურიანი
109. კავშირი, გაერთიანება
110. საყანედ გაჩეხილი ტყე
111. ზღვრული გადასახადი
112. კარგად მორული ცხენი
113. ... გაფრინდაშვილი
114. ქალაქი საფრანგეთში
115. ძნელად დინებადი, აზუ ...
116. ძროხის ნაშიერი
117. მხ/ფ „... ორკესტრი“
118. მსახიობი ... რურკი
119. მსახ. რობერტ ... უმცროსი
120. აფრიკის ნახევარკუნძული
121. მხატვარი ალფრედ ...
122. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
123. საზღვაო მოგზაურობა
124. სასტრადო ხელოვნებ. ჟანრი
125. მსახიობი ... ფაროუ
126. მომღერალი ... კუტუნიო
127. იანის საპირისპირო
128. ქედი რუსეთში
129. ხეზე დაცემული ელვა
130. მატონიზირებელი სასმელი
131. მარცვლოვანი მცენარე
132. გამის ნოტი
133. ... შრომა, მერე ხტომა
134. ...-დე-ჟანეირო
135. მსახიობი ... დე ფიუნესი
136. მხ/ფ „ნატვრის ...“
137. გაუშლელი ფოთოლი
138. ცხვრის ნაშიერი
139. მდინარე კახეთში
140. ჰიპოკრატეს ...
141. ჩეხოვი. „... ვანია“



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

პასუხები: 1. ფინეთი; 2. მისანი; 3. პაპარაცი; 4. კინოლოგი; 5. მეტისი; 6. კირილიცა; 7. ცრუ; 8. ქორო; 9. ეტნა; 10. ეარი; 11. ქმარი; 12. „ტერმინატორი“; 13. „ვიი“; 14. არქიტექტორი; 15. ფილიპინები; 16. სანიტარი; 17. პიტერ; 18. ტონა; 19. კობო; 20. ორნამენტი; 21. ნოუ; 22. ტასმანია; 23. მეგაპოლისი; 24. სიროფი; 25. ფეხბურთი; 26. უშბა; 27. ჯამბაზები; 28. სალტიკოვ; 29. ვუ; 30. „ირმისა“; 31. ვარციხე; 32. სპარტაკი; 33. ოცნება; 34. შუ; 35. საინი; 36. ირმა; 37. იარდი; 38. აარონ; 39. ნიტროგლიცერინი; 40. ბრასი; 41. ყუა; 42. მიომა; 43. მარტი; 44. ოზონი; 45. რაიდერი; 46. რედიკიული; 47. ომარ; 48. ნერონი; 49. ბაზიერი; 50. ინდონეზია; 51. ნინიძე; 52. მილიონი; 53. ქვიშტარი; 54. ვრანგელი; 55. ლაშქარი; 56. „ილიადა“; 57. ძეფირელი; 58. ნეონი; 59. ბლიაძე; 60. აორტა; 61. დოლი; 62. ქურქი; 63. მორიელი; 64. იაპონია; 65. როდნინა; 66. ქალამანი; 67. ნასტასია; 68. სალამური; 69. ირონია; 70. ნეკროლოგი; 71. „პიანისტი“; 72. ბრედ; 73. სევასტოპოლი; 74. არ; 75. პითონი; 76. სანტი; 77. ირენ; 78. ლივერი; 79. სირაქლემა; 80. პერედვიჟნიკები; 81. მაყარი; 82. ედიტ; 83. „წიქარა“; 84. ბენვენუტო; 85. ნონ; 86. ქლორი; 87. რომი; 88. მილენიუმი; 89. მთვარის; 90. მალი; 91. რაიანი; 92. ელვა; 93. ნაგასაკი; 94. დუმა; 95. ტირი; 96. ასტრიდ; 97. რიყე; 98. აგავა; 99. ნევა; 100. მუფლონი; 101. ალგეთი; 102. ირლანდია; 103. პიეტა; 104. პლატონი; 105. სპორა; 106. „ვოლვო“; 107. ნაგავი; 108. არამ; 109. ალიანსი; 110. ახო; 111. ტარიფი; 112. იორღა; 113. ნონა; 114. ლილი; 115. ბლანტი; 116. ხბო; 117. ადამიანი; 118. მიკი; 119. დაუნი; 120. სომალი; 121. სისლეი; 122. მაკ; 123. კრუიზი; 124. ჯაზი; 125. მია; 126. ტოტო; 127. ინი; 128. ურალი; 129. მეხი; 130. ჩაი; 131. ბრინჯი; 132. სი; 133. ჯერ; 134. რიო; 135. ლუი; 136. ხე; 137. კვირტი; 138. ბატკანი; 139. იორი; 140. ფიცი; 141. ძია. იკითხება: მილა იოვოვიჩი.



1. „ხების ბერი გოჩა“. ავტორი
2. „იუმორინას“ რეჟისორი
3. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
4. ვაჟა-ფშაველას საკუთარი გვარი
5. ღვინის არომატი, ანუ ...
6. დიდი, მსუქანი მუცელი
7. ამერიკელი მსახიობი ქალი
8. მევენიერი ... ვეკუა
9. ქიმიური ელემენტი
10. ძველებური საცეკვაო მუსიკა
11. პატარა სარწყავი არხი
12. ლუდის მასალა
13. ილუზიონისტი დევიდ ...
14. მსახიობი ... სმოკტუნოვსკი
15. სტალინის დედა
16. დილის მსუბუქი ხალათი
17. მანეთის მეასედი
18. ნაწარმოების შეფასება
19. მსახიობი ... კილმერი
20. დაბა ...-გრუზინსკაია
21. მსახიობი ... მაკგრეგორი
22. რიკი-ტიკი-ტავი (ცხოველი)
23. პაპა, ანუ ...
24. მსახიობი ... ბანდერასი
25. ჭრილი კედელში. კიდებენ ფარდებს
26. ნარკოტიკული ნივთიერება
27. ძლევენი, ანუ ...
28. ჰომეროსის პოემა
29. მსუბუქი ლითონი
30. ძვირფასი წითელი ქვა
31. სახალხო ზეიმი ბერიკათი
32. სანელებელი
33. სასანთლე
34. მეხსიერების დაკარგვა
35. ფილიპინების დედაქალაქი
36. მწერალი ჟორჟი ...
37. ინგლისის დედაქალაქი
38. შხამ. ობობა
39. მდ. რუსეთში
40. ... შვარცენეგერი
41. დიდი ნემსი
42. იატაკზე დასაგები მასალა
43. „აბესალომ და ეთერი“ პერსონაჟი
44. გემის ფანჯარა
45. „ქეთო და კოტე“. ვაჭარი
46. ტურ ჰეიერდალის ტივი
47. ქრისტიანული ტაძარი
48. ლომის თათი
49. ბამბის ქსოვილი
50. გულის დაავა-დება
51. შოტლანდიელი მამაკაცის სამოსი
52. სამიანი ნარდში
53. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
54. რეჟისორი ... დე ბონტი
55. ჩოგბურთელი იანიკ ...
56. მწერალი ... იოსელიანი
57. მდინარე ციმბირში
58. მსახიობი ჯულია ...
59. რეჟისორი ... ფონ ტრიერი
60. შტატი აშშ-ში
61. მოუხარშავი
62. მტაცებ. ფრინველი სამხ. ამერიკაში
63. ჟამი
64. ნაჭრის პატარა ნაგლეჯი
65. მსახიობი ჯორჯ ...
66. დაბალფასიანი
67. მათემატიკ. შეკრების შედეგი
68. კრემის სათქვეფი
69. მშობიარობის დამხმარე
70. „ამბავი ივანე ...“
71. სმენის ორგანო
72. ფეთქებადი ნივთიერება
73. ნაცია
74. ხორცის კერძი
75. ჩანთოსანი დათვი
76. ბანქოს ერთგვარი თამაში
77. ... პუგაჩოვა
78. ... ბლუმი
79. ხმლის ტარი
80. ჩანჩქერი აშშ-ში
81. ყელის ტკივილი
82. მხ/ფ „რეკორდი“ ... ხუნჭუა
83. თითებით დასარტყამი საკრავი
84. მაღაზიის გამყიდველი
85. ნახვრეტებიანი კოვზი
86. მსახიობი მეგ ...
87. ფანქრის შავი გული
88. ნიშნავს ქვას
89. ქალაქი შვეიცარიაში
90. ინდური კაბა
91. თევზის ჯიში
92. დედამიწის გუმბათი
93. მწერალი ... უაილდი
94. ქალაქი კახეთში
95. ციხესიმაგრის ქვის ლობე
96. ცელქი, ანცი
97. მსახიობი ... მარტინი
98. შხამიანი ბაყაყი
99. მხ/ფ „... ხე“
100. ჟღერადობა: მაჟორი და ...
101. ქალაქი ავსტრიაში
102. ჰერბერტ უელსი. „დოქტორ ... კუნძული“
103. ორგანული გამხსნელი
104. კანფეტების ნარევი
105. მსახიობი მარლონ ...
106. „კაპიტან ... შვილები“
107. ცური
108. წიწილებიანი დედალი
109. მხატვარი ... იგნატოვი
110. რითი იზომება დრო
111. კვერცხის თეთრი შიგთავსი
112. მუსიკ. ვიდეორგოლი
113. მსახიობი ... ვერტინსკაია
114. ტბა აფრიკაში
115. ნუსხა
116. სატრფიალო პოეზიის მუზა
117. ქალაქი არაბთა ემირატებში
118. ის, ვინც სისხლს გასცემს
119. მომსახურე პერსონალის ფორმა
120. საძოვარი ველები
121. მდინარის დატოტვ. შესართავი
122. გაეროში: კოფი ...
123. კუტიურიე ჯორჯო ...
124. შვედური ავტომობილი
125. თავაშვებული ღრეობა
126. ყაზახეთის დედაქალაქი
127. მსახიობი ... გარდნერი
128. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
129. მწერალი ერიხ მარია ...
130. ვაზით გაშენებ. ადგილი
131. მეწველი საქონელი
132. იჩქარე ...
133. იაზონის გემი
134. გამოუწვავი აგური
135. სახელი და ...
136. სახელმწიფო აზიაში
137. თვითმფრინავების სადგომი
138. რუსი ილუზიონისტი
139. საბჭოური ავტომობ.
140. ხაზი, რომლის გაყოლებაზედაც ცა თითქოს დედამიწას ეხება
141. ცისარტყელას ქალღმერთი
142. მსახიობი ... ჟირარდო
143. ქრისტ. წმინდა თასი
144. ... გათეთრდების ყორანი
145. მკერდის კორექციის მასალა
146. საოპერო პარტია
147. ვიოლინოს ჯოხი
148. სპორტ. შეჯიბრის დასაწყისი
149. ჟურნალისტი ... გრიგოლია
150. ნიშნავს საწინააღმდეგოს



პასუხები: 1. ყაზბეგი; 2. ბაღაშვილი; 3. ასო; 4. რაზიკაშვილი; 5. ბუკეტი; 6. ღიპი; 7. შერი; 8. ილია; 9. იოდი; 10. სარაბანდა; 11. რუ; 12. ალაო; 13. კოპერფილდი; 14. ინოკენტი; 15. კეკე; 16. პენუარი; 17. კაპიკი; 18. კრიტიკა; 19. ველ; 20. ნია; 21. ევან; 22. მანგუსტი; 23. ბაბუა; 24. ანტონია; 25. ფანჯარა; 26. მარიხუანა; 27. ნობათი; 28. „ილიადა“; 29. ალუმინი; 30. ლალი; 31. ბერიკაობა; 32. მარილი; 33. შანდალი; 34. ამნეზია; 35. მანილა; 36. ამადუ; 37. ლონდონი; 38. ტარანტული; 39. დონი; 40. არნოლდ; 41. მახათი; 42. ლინოლეუმი; 43. მურმანი; 44. ილუმინატორი; 45. მაკარი; 46. „კონ-ტიკი“; 47. ეკლესია; 48. ტორი; 49. სატინი; 50. მანკი; 51. კილტი; 52. სე; 53. კორსიკა; 54. იან; 55. ნოა; 56. ოტია; 57. ირტიში; 58. ორმონდი; 59. ლარს; 60. ნევადა; 61. უმი; 62. კონდორი; 63. დრო; 64. ნაკუწი; 65. კლუნი; 66. იაფი; 67. ჯამი; 68. მიქსერი; 69. მეანი; 70. კოტორაშვილისა; 71. ყური; 72. ნიტროგლიცერინი; 73. ერი; 74. გუფთა; 75. კოალა; 76. ვისტი; 77. ალა; 78. ორლანდო; 79. ვადა; 80. ნიაგარა; 81. ანგინა; 82. დურუ; 83. დაირა; 84. ნოქარი; 85. ქაფქირი; 86. რაიანი; 87. გრაფიტი; 88. ლითი; 89. ლოზანა; 90. სარი; 91. სვია; 92. ცა; 93. ოსკარ; 94. თელავი; 95. გალავანი; 96. ცეტი; 97. სტივ; 98. აგა; 99. ნატვრის; 100. მინორი; 101. ზალცბურგი; 102. მოროს; 103. სკიპიდარი; 104. ასორტი; 105. ბრანდო; 106. გრანტის; 107. ჯიქანი; 108. კრუხი; 109. კოკა; 110. საათი; 111. ცილა; 112. კლიპი; 113. ანასტასია; 114. ნიასა; 115. სია; 116. ერატო; 117. დუბაი; 119. უნიფორმა; 120. იალაღი; 121. დელტა; 122. ანანი; 123. არმანი; 124. „ვოლვო“; 125. ორგია; 126. ასტანა; 127. ავა; 128. „მატრიცა“; 129. რემარკი; 130. ვენახი; 131. ფური; 132. ნელა; 133. „არგო“; 134. ალიზი; 135. გვარი; 136. სირია; 137. ანგარი; 138. კიო; 139. „ზიმი“; 140. ჰორიზონტი; 141. ირიდა; 142. ანი; 143. გრაალი; 144. არ; 145. სილიკონი; 146. არია; 147. ხემი; 148. სტარტი; 149. ინგა; 150. ანტი. იკითხება: ფარაონის სანტა. საახალწლო მორთულობა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ეს მცენარე ყურძენს ისხამს
2. ფაშვის წინიანი
3. ბავშვის კბილი
4. გოგოლის მოთხრობა
5. დასასვენებელი ადგილი, ბაღი
6. ჩვილის საწოლი
7. დაბლობი საქართველოში
8. მითიური ცხენკაცი
9. ნავთობსაზიდი გემი
10. არგენტინული ცეკვა
11. ექსპრომტი
12. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
13. დაუდუღებელი ღვინო
14. ღლავი
15. პიპინიას ძაღლი
16. რას ანთებენ ჭინკების დასაფრთხობად
17. შეძახილი ტკივილისას
18. მტაცებელი ფრინველის ფრენა
19. მომღერალი ... ოსბორნი
20. ერთგვარი სამხედრო შარვალი
21. ია ფარულავა ფილმში „სიყვარული ...“
22. მსახიობი ჟერარ ...
23. ლეილა აბაშიძე ფილმში
24. ადრეუ-ლი ხილი
25. სავარცხლიანი ფრინველი
26. რეჟისორი ... დე ბონტი
27. მან ააგო კიდო-ბანი
28. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
29. მხ/ფ „პირველი მერცხალი“ აბაშიძე
30. მსახიობი ... თბილელი
31. ლერწმის შაქარი
32. სათევზაო მოწყობილობა
33. „12სკამი“ ... ბენდერი
34. ალამი
35. ხელის ფალანგი
36. ზღაპარი „12 ...“
37. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორი მხატვარი მიხაი ...
38. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
39. იაპონური თაიგული
40. საბაჟო აჭარაში
41. იაზონის გემი
42. ჩანჩქერი აშშ-ში
43. დიდი კაფე ესტრადით
44. ქიმიური ელემენტი
45. ბოსფორი, დარდანელი, ლა-მანში
46. ქირურგი (ძვ.)
47. იაპონური თეატრი
48. აერობიკა, ანუ ...
49. შოკოლადის ხის ნაყოფი
50. ტყის ფრინველი
51. ნიშნავს ჩირქოვანს
52. მეცნიერება მცენარეების შესახებ
53. პრეზიდენტი ... ობამა
54. წყლის ორმო ოწინარით
55. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
56. ფურცლის ერთი მხარე
57. მწირალი დუტუ ...
58. „ჟიზელი“ კომპოზიტორი
59. თავისუფალი სამუშაო ადგილი
60. „მე ... ქართველი ვარ“
61. მარილიანის გემო
62. მსახიობი ტონი ...
63. პარლამენტარი ოლიმპ. ჩემპიონი
64. მჭიდი, ანუ ...
65. მოწნული ჭურჭელი
66. ბერძ. ანბანის პირველი ასო
67. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში
68. მომღერალი ... პრესლი
69. ... გაგარინი
70. ნიშნავს ცივს
71. არხი ეგვიპტეში
72. წყალში მოზელილი ფქვილი
73. პატარა სასაცილო ამბავი
74. „ევგენი ონეგინი“ ავტორი
75. ნაბიჯი ბალეტში
76. ... ნასრე-დინი
77. სამხრეთ, ანუ ... ამერიკა
78. ... შეიქმს სიყვარულსა
79. საქონლის სადგომი
80. დიდი საჰარისო შენაერთი
81. ... შეჯდა მწყერი ხესა
82. სასიამოვნო სუნი, გემო
83. ... ფიტცჯერალდი
84. ფირნიში
85. მომღერალი მირეი ...
86. პერო. „... მზეთუნახავი“
87. ოპერის თეატრი ... სკალა
88. კვირის დღე
89. იგი აბარებს ინსტიტუტში
90. ცვილის ცხაური თაფლით
91. სასწავლო დაწესებულება
92. ... რა უნდა ფეხის წამოკვრა უნდა
93. ... კურნიკოვა
94. დედამიწის გუმბათი
95. კეთილთვისებიანი სიმსივნე
96. სანჰიგიენური დაწესებულება
97. მომღერალი ... მჟავია
98. ნივთიერება. ილებენ აცეტილენს
99. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
100. ფრანგი წინასწარმეტყველი
101. ბილიარდის ჯოხი
102. ფრანგი ფერმწერი
103. ავადმყოფური აკვიატება
104. სამატომიანი ჟანგბადი
105. წყლის შინაური ფრინველი
106. სტუდენტის ხელფასი
107. სიტყვით გამომსვლელი
108. ... შარაპოვა
109. ცხენის ნაშიერი
110. მოტოველოსიპედი
111. რუს მეფეთა დინასტია
112. ილფი და პეტროვი. „ოქროს ...“
113. ... კუზანოვი
114. ვირას საპირისპირო
115. პოლონეთის დედაქალაქი
116. ბინის გადასახადი
117. იგავური თხრობის ფორმა
118. მდინარე გერმანიაში
119. სოფელი დუშეთის რაიონში
120. სიმებიანი ინსტრუმენტი
121. სრული გამარჯვება ძიუდოში
122. მეჯვარეს ასეც ეძახიან
123. თევზსაჭერი გემი
124. დროის უკმარისობა ჭადრაკში
125. თავის ჩონჩხი
126. მსახიობი ... სხირტლაძე
127. ... იქა, ლხინი აქა
128. მსახიობი ... საკანდელიძე
129. თმის მკვნარი
130. ხორცის კერძი
131. აზერბაიჯანული ფულის ერთეული
132. ქსოვილი ფანჯარაზე
133. ვაზის მოლუსკი
134. ძვირფასი ლითონი
135. დედალი ცხენი
136. ტიბეტური ხარი
137. შოტლანდიელი მამაკაცის სამოსი
138. მსახიობი ... ვენტურა
139. უფრთო ფრინველი
140. იაპონური ფულის ერთეული
141. დოქი
142. ცეცხლგამძლე კარადა
143. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
144. პატარა არხი
145. მაღაზიათა ქსელი „...-ელექტრონიქსი“
146. შხამიანი ბაყაყი
147. მსახიობი ... პაჩინო
148. ღამის ფრინველი
149. ერთი მოძღვრის პარტია
150. ... ძედუნი
151. მდიდარი გლეხი (რევოლუც.)
152. ნილოსის დუმფარა
153. ძიძა
154. მსახიობი ... ხვიჩია
155. ლენონის ქვრივი
156. შვარცენეგერი: რკინის ...
157. ექიმის თეთრი სამოსი





ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

# „ჩვენ ვეკითხებით გიორგი კვირიკაშვილს, ის აპირებს, ღარიბაშვილის გზა გააგრძელოს, ყველამ მასზე შეიწმინდოს ფეხები და განიცადოს ის ტრაგედია, რაც ღარიბაშვილმა განიცადა გადადგომით“





**რატომ სჯერა კუკავას, რომ კვირიკაშვილი ოპოზიციას შეხვდება, რატომ ფიქრობს, რომ ღარიბაშვილისგან განსხვავებით ახალი პრემიერი ბიძინა ივანიშვილისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და თუკი პრემიერმა უარით გამოისტუმრა ინტერპარტიული ჯგუფი, რა იქნება შემდგომი ნაბიჯი?**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



2016 წლის სკანდალი შეიძლება აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ „ნინო ბურჯანაძე – გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ და „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“ წინასაარჩევნო კოალიციაში ვიხილოთ. ეს საკითხი ჯერ იდეის დონეზე ყოფილა. ამ საკითხში სკანდალი არის ის, რომ ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ალასანია ერთმანეთთან როგორც წყალი და ზეთი, ისე ვერ ზავდებიან. ალასანია ბურჯანაძის მომიტინგეებს უხარისხო ქართველებად ნათლავდა, მასთან ყოველგვარ პოლიტიკურ ზავს გამორიცხავდა. პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მეგობრები, პოლიტიკაში არსებობენ პარტნიორები. მათი გამაერთიანებელი კი დღეს ის საარჩევნო კოდექსია, რომელსაც თავის დროზე „რესპუბლიკური პარტია“ და დავით უსუფაშვილი, „კონსერვატორები“ და ზვიად ძიძიგური, „ფორუმი“ და გუბაზ სანიკიძე, გამქრალი ლიდერით, ვგულისხმობ კახაბერ შარტავას, უპირისპირდებოდნენ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ ძალებმა საკუთარ პრინციპებზე უარი თქვეს და მათ სააკაშვილის გზა არჩიეს. რადიკალური ცვლილებების შეტანა საარჩევნო კოდექსში სახელისუფლებო ძალას არ სურს. რაც შეეხება ოპოზიციას, საარჩევნო რეფორმის საკითხებზე პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს შეხვედრას სთხოვს. მათ მიმართვა გამოაქვეყნეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ოპოზიციის ინტერპარტიული ჯგუფის პოლიტიკური გაერთიანებები, მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ უახლოეს მომავალში შეხვდნენ გიორგი კვირიკაშვილს საარჩევნო რეფორმის განსახილველად. ისე კი, ბატონებო, ვიდრე თქვენ ამ მიმართვის ტექსტს გაამზადებდით, სასურველი იქნებოდა, ქვეყანაში ჩატარდეს პლებისციტი და აიკრძალოს ის მუქთახორა პარტიები, რომლებიც ქვეყანაში 200-ზე მეტია და მათი საქმიანობა ბუნდოვანია. არ არის სავალდებულო, ყველას პოლიტიკოსი ერქვას და ამით შენიღბოს საკუთარი საეჭვო ინტერესები საქართველოს პოლიტიკურ ველში და არც მოსახლეობას არ აქვს სურვილი, ბარიერის გადალახვის შემდეგ, ამდენი მუქთახორა პარტია ჩვენი ნერვების მოშლისა და კეთილდღეობის საფასურად არჩინოს და ინახოს.

მოკლედ, მიმართვაზე ხელმომწერები იმედოვნებენ, რომ გიორგი კვირიკაშვილი იქნება უფრო კონსტრუქციული მოთანამშრომლე ოპოზიციასთან, ვიდრე მისი წინამორბედი იყო. ოპოზიციური პარტიების ლიდერები ჯერჯერობით ღიად არ საუბრობენ, რა მოთხოვნებს წაუყენებენ ახალ პრემიერს.

**მიმართვაზე ერთ-ერთი ხელის მომწერი, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— რატომ სჯერა კუკავას, რომ კვირიკაშვილი ოპოზიციას შეხვდება, რატომ ფიქრობს, რომ ღარიბაშვილისგან განსხვავებით ახალი პრემიერი ბიძინა ივანიშვილისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და თუკი პრემიერმა უარით გამოისტუმრა ინტერპარტიული ჯგუფი, რა იქნება შემდგომი ნაბიჯი?**

– ჩვენ გვჯერა, რომ პრემიერ-მინისტრი შეგვხვდება. რა შედეგები მოჰყვება ამას, ეს სხვა საკითხია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შეხვედრას თავს არ აარიდებს. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ სულ ფსიქოპათები გვყავდნენ პირველი პირები. სხვა ქვეყანაში ეს შეკითხვაც კი არ დაისმებოდა, რატომ უნდა შეგვხვდეს პრემიერი, რადგან ყველა ნორმალურ ქვეყანაში ახალი პრემიერი და პრეზიდენტი რომ მოდის, ის ოპოზიციას ხვდება. მე მომეწონა კვირიკაშვილის გამოსვლა პარლამენტში, განსაკუთრებით გამოვყოფ მის განცხადებას, როცა თქვა: „მე მაქვს შეგრძნება, რომ ჩვენ ყველანი ვართ გლადიატორები, როცა ყოველ საღამოს ტელევიზიით გვიყურებენ ჩვენი თანამოქალაქეები. ვფიქრობ, რომ ეს უნდა დასრულდეს. მემკვიდრეობა მარტივი არ იყო, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს მემკვიდრეობა იყო დადებითიც, განსაკუთრებით 2007 წლიდან მოყოლებული ძალიან მძიმე 5 წელი გავიარეთ“... კვირიკაშვილმა ახლა საქმით უნდა დაამტკიცოს. არაა აუცილებელი, ყველა საკითხზე დაგვეთანხმდეს, მთავარია, კონსტრუქციული ოპონირება გავუწიოთ ერთმანეთს. ეს კი აუცილებელია არა მხოლოდ ოპოზიციისთვის, არამედ მთავრობისთვის, რადგან ეს ასე ხდება ყველა იმ დემოკრატიულ ქვეყანაში, რომელიც ჩვენ მოგვწონს, ხოლო რაც აქამდე ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში, ეს ხდება მხოლოდ „ბანანის ქვეყნებში“.

**— პრეტენზიებს მხოლოდ ყოფილი პრემიერის მიმართ რომ აყენებთ, რატომ გავიწყდებათ პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის როლი ამ საკითხში, რომელიც დღემდე არ შეგხვედრიათ, თქვენი დიდი სურვილის მიუხედავად. ყოველ მოთხოვნას აიგნორებდა...**

– დიახ, არც ის გვხვდება... თუმცა, ღარიბაშვილისგან განსხვავებით, მას ესმოდა შეხვედრის საჭიროება, მაგრამ უსუფაშვილმა არჩია თვითგადარჩენის გზა, ის ჰგავს შაჰის კარზე იმ კარისკაცს, რომელიც ყოველდღე ელოდება სიკვდილს. პარტიამ, რომელიც თავს დებდა დემოკრატიულ ღირებულებებზე, როგორც კი სახელისუფლო ძალა გახდა, უარი თქვა იმ პრინციპებზე, რომლის ერთგულიც იყო ოპოზიციაში. უარი თქვეს იმის ფასად, რომ შეენარჩუნებინათ თავიანთი ადგილი კოალიციაში. ამიტომ მე უსუფაშვილს ვერ დავწამებ იმას, რომ ოპოზიციასთან დიალოგი არ უნდოდა, უბრალოდ, მას ბიძინა ივანიშვილის ეშინია...

**— რატომ ფიქრობთ, რომ გიორგი კვირიკაშვილი აღმოჩნდება გაბედული?**

– მაგალითად, კვირიკაშვილმა გაბედა და თქვა, რომ პრეზიდენტს არ უნდა შევეხოთ და ავლაბრის რეზიდენციიდან არ უნდა გამოვასახლოთ... ასევე, გაბედა და თქვა, რომ ის დაესწრება პრეზიდენტის მიერ მოწვეულ უშიშროების საბჭოს სხდომას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მე არ ვარ ცალსახად დადებითი დამოკიდებულების კვირიკაშვილის მიმართ, მაგრამ რატომ მოვუსპოთ ადამიანს შანსი, თუკი მასში არის რაღაც დადებითი. რატომ გადავასხათ მდუღარე მის წინადადებას, რომ ის მზად არის შეხვდეს ოპოზიციას, ბიზნესსექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. პირიქით, ჩვენ ხელს შევუწყობთ, რომ მისი იდეები მოქმედებაში მოვიდეს. ჩვენ სააკაშვილის, ივანიშვილისა და ღარიბაშვილის მიმართაც იგივე მიდგომა გვქონდა, უბრალოდ, მათ აირჩიეს კონფრონტაციის პოლიტიკა, ჩვენ ამ შანსს კვირიკაშვილსაც მივცემთ და თუ ჭკვიანია, არადა სახეზე ეტყობა, რომ არ არის სულელი, ამ შანსს გამოიყენებს. თუ არადა, ღარიბაშვილის ბედს გაიზიარებს.

**— ინტერპარტიული ჯგუფი არ აკონკრეტებთ პრემიერისადმი მიმართვაში, რა ძირითად საკითხებზე გინდათ საუბარი...**

– ჩემი აზრით, არის ორი ცენტრალური თემა და მე ამ საკითხს დავაყენებ როგორც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, ესენია – საარჩევნო რეფორმა და იუსტიციის საბჭოს რეფორმები.

**— საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ ეს საარჩევნო კოდექსი ძირეულად აღარ გადაიხედება და თუკი თქვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, მიიღებთ ამ საარჩევნო კოდექსით არჩევნებში მონაწილეობას, თუ აპირებთ, ბოიკოტი გამოაცხადოთ?**

– გია ვოლსკი, რომელიც ამ განცხადებებს აკეთებს, არის გაკოტრებული პარტიის წარმომადგენელი. ვოლსკი და ღარიბაშვილი – ეს არის ერთი და იგივე. როგორც ღარიბაშვილი, ასევე ვოლსკიც გაკოტრებულია პოლიტიკურად. ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა, გაუქმდეს მაჟორიტარი არჩევნები, თუმცა არის სხვა საკითხებიც, ვოლსკის პოზიცია გასაგებია, ჩვენ ვეკითხებით გიორგი კვირიკაშვილს, ის აპირებს, ღარიბაშვილის გზა გააგრძელოს, ყველამ მასზე შეიწმინდოს ფეხები და განიცადოს ის ტრაგედია, რაც ღარიბაშვილმა განიცადა გადადგომით, თუ შევიდეს საქართველოს ისტორიაში ისეთ ლიდერად, როგორიც იყო ვაცლავ ჰაველი, ლეხ ვალენსა და სხვა ცნობილი ლიდერები, რომელსაც პოსტიდან წასვლის შემდგომ ოპოზიცია, ხალხი და ხელისუფლება, ტაშს დაუკრავს. მე როგორც მითხრეს, ივანიშვილს არც კი დაურეკავს ღარიბაშვილისთვის, სხვას დაავალა, რომ პრემიერმინისტრობიდან გადამდგარიყო. თუკი კვირიკაშვილი ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, მოვაწყობთ საპროტესტო აქციებს, საბოლოო ჯამში კი, ეს ყველაფერი იმით დამთავრდება, როგორც დაამთავრეს წინა მთავრობებმა. ეს არის კვირიკაშვილის მიმართ შეთავაზებების მთელი არსი, თუ ისიც ისევე უყურებს მოვლენებს, როგორც მისი წინამორბედი, რომ ერთ თვეში ოპოზიცია ვერაფერს მიზამს და არჩევნებს მაინც გავაყალბებო, რა თქმა უნდა, ის მოგვერევა მოკლევადიან პერსპექტივაში, საბოლოოდ კი, დამარცხდება... მაგრამ თუ გრძელვადიან პერსპექტივაზე თვლის თავის მოღვაწეობას და გაიაზრებს, რომ გაყალბებული არჩევნების შემდეგ ბარიკადებს აღვუმართავთ, შეიძლება მიხვდეს და ჩვენი პოზიციაც გაიზიაროს.

**— კი მაგრამ, კონცენტრირებული რომ ხართ მხოლოდ პრემიერზე და გვერდს უვლით თავდაცვის მინისტრის ჩართულობას საგარეჯოს არჩევნებში, რომელმაც არჩევნები, ფაქტობრივად, გააყალბა და ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა თავისი ქმედებებით, რა გარანტია გაქვთ, რომ იგივე თავდაცვის მინისტრი, მისი მეუღლე დავით უსუფაშვილი, იგივეს არ გააკეთებენ?**

– გეთანხმებით, ამის საშიშროება არსებობს, ხისთავიანების ხაზი ნამდვილად არსებობს, რომლებიც ამბობენ: გავაყალბეთ საგარეჯოს არჩევნები და ასევე, გავაყალბებთ სხვა არჩევნებს. მაგრამ არის მეორე ხაზი, ვისაც ტვინი უმუშავებს. ამ საგარეჯოს არჩევნების შემდეგ რეიტინგები რომ გამოქვეყნდა, 15% რომ აქვს მმართველ პარტიას, ვინმე ფიქრობს, რომ ეს არ არის საგარეჯოს არჩევნების შედეგი? მოდით, დავსვათ კითხვა, რა უფრო მნიშვნელოვანია, ის, რომ ერთი მანდატი დაიკავა „ქართულმა ოცნებამ“, თუ რეიტინგი რომ საგრძნობლად შეუმცირდა ამ არჩევნების გამო, რომლის ერთ-ერთი მიზეზი საგარეჯოს არჩევნებიც იყო... თქვენ მკითხეთ, მივიღებთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას? რა თქმა უნდა, მივიღებთ და ბოიკოტს არ გამოვუცხადებთ... ჩემი პოზიციაა, რასაც დანარჩენი პარტიები იზიარებენ, უნდა ჩამოყალიბდეს ერთი დიდი საარჩევნო ბლოკი. ჩვენ გვაქვს პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციები, უახლოეს დღეებში ამასთან დაკავშირებით გაკეთდება განცხადებები, არასაპარლამენტო ოპოზიციის ძალიან ფართო კოალიციის შესახებ.

**— ნინო ბურჯანაძისა და ირაკლი ალასანიას ერთ საარჩევნო ბლოკში გაწევრიანება შესაძლებელია?**

– თეორიულად შესაძლებელია, თუმცა დეტალებს ვერ მოგახსენებთ.

**— თქვენი მეორე მოთხოვნაა იუსტიციის საბჭოს რეფორმა და რას გულისხმობთ?**

– ვგულისხმობთ იუსტიციის საბჭოს დაშლას და ახალი წევრების დანიშვნას. ლევან მურუსიძის იუსტიციის საბჭოს მოსამართლედ დანიშვნასთან დაკავშირებით კოალიციაში ერთი ამბავია, ფორუმის ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ ისე გააკრიტიკა ხელისუფლება, გეგონება, მე დამენიშნოს მურუსიძე მოსამართლედ და ის ხელისუფლებაში არ იყო. დღეს მურუსიძის წინააღმდეგ საზოგადოების აზრი ასი პროცენტით მის წინააღმდეგაა ჩამოყალიბებული, ხოლო ბიძინა ივანიშვილი მოგვევლინა მის დამცველად, ეს ნიშნავს, რომ ივანიშვილი იმყოფება თავისი პოლიტიკური კარიერის უკანასკნელ ეტაპზე. დარწმუნებული იყავით, მურუსიძის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ამ ხელისუფლებაზე და მისი ფაქტორი კიდევ უფრო დაუგდებს რეიტინგის.

## მორიგი გატაცება საოკუპაციო ხაზთან



რუსმა ოკუპანტებმა გორის რაიონის სოფელ ბერშუეთთან ადგილობრივი მკვიდრი ლაშა გლურჯიძე დააკავეს, რომელიც მეგობართან, საბა სეხნიაშვილთან ერთად ტაძარში სალოცავად იმყოფებოდა.

საბა სეხნიაშვილი რუს ოკუპანტებს გამოექცა, ლაშა გლურჯიძე კი დააკავეს. მას, სავარაუდოდ, რუსების სამხედრო ბაზაზე დაკითხავენ, რის შემდეგაც ცხინვალის ციხეში გადაიყვანენ.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, ლაშა გლურჯიძე და საბა სეხნიაშვილი სალოცავად სამების ეკლესიაში იმყოფებოდნენ, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა და მათ ე.წ. საზღვარი არ დაურღვევიათ.

ამ დრომდე უცნობია, რა მიზეზით მოხდა ლაშა გლურჯიძეს დაკავება. (პირველი რადიო)

## რამაზ საყვარელიძე — არა მგონია, ირაკლი ღარიბაშვილს პარტიის შექმნის სურვილი ჰქონდეს



ექსპერტ რამაზ საყვარელიძეს არ ჰგონია, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს პოლიტიკური პარტიის შექმნის სურვილი ჰქონდეს. საყვარელიძის აზრით, ირაკლი ღარიბაშვილმა, შესაძლოა, აღმასრულებელ ან კერძო სტრუქტურებში საქმიანობის გაგრძელება მოინდომოს.

– ყველას და მათ შორის, რა თქმა უნდა, ყოფილ პრემიერსაც შეუძლია, პოლიტიკური პარტია შექმნას, უბრალოდ, არა მგონია, თვითონ ღარიბაშვილს ჰქონდეს ამ ტიპის პერსპექტივის სურვილი. ვერ ჩავთვლიდი, რომ ღარიბაშვილს პოლიტიკაში კომფორტულად ყოფნა ეტყობოდა. არიან ადამიანები, ვისთვისაც ეს კომფორტია, თუმცა, ასევე, არიან ადამიანები, იგივე ბიძინა ივანიშვილი, ვისთვისაც პოლიტიკაში ყოფნა დისკომფორტს წარმოადგენს. მე მგონი, პოლიტიკაში ყოფნა ღარიბაშვილისთვისაც დისკომფორტია. ნებისმიერი პერსპექტივა იწყება ადამიანის სურვილისგან და ეს სურვილი, პოლიტიკური პარტიის შექმნის, არა მგონია, ღარიბაშვილს ჰქონდეს. მე მგონი, საჯარო პოლიტიკის მიმართულებით მისი კარიერა არ განვითარდება. შეიძლება აღმასრულებელ ან კერძო სტრუქტურებში მოუნდეს ყოფნა, – განაცხადა საყვარელიძემ.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვებას, რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ, როგორც მინიმუმ, წასვლის დრო ირაკლი ღარიბაშვილის პირადი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდა.

– ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუში თქვა, ღარიბაშვილმა ფაქტის წინაშე დაგვაყენაო. შეიძლება იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ ახალი პრემიერი არის საჭირო, მაგრამ თარიღის მხრივ, როგორც ჩანს, ღარიბაშვილის გადაწყვეტილება იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გუნდი ამ გადაწყვეტილებას მოუმზადებელი დახვდა. პროცესს არ ეტყობა წინასწარი მომზადება. ამიტომ მგონია, რომ ივანიშვილი გულახდილი იყო, როცა ეს თქვა და საახალწლოდ წასვლა მეტ-ნაკლებად ღარიბაშვილის ინიციატივა იყო, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## საუდის არაბეთისა და ბაჰრეინის შემდეგ, ირანთან დიპლომატიური ურთიერთობა სუდანმაც გაწყვიტა



საუდის არაბეთისა და ბაჰრეიმის კვალდაკვალ, ირანთან დიპლომატიური ურთიერთობები სუდანმაც გაწყვიტა.

„როიტერის“ ინფორმაციით, ირანელ დიპლომატებს ქვეყნის დატოვება 24 საათის განმავლობაში მოუწევთ.

შეგახსენებთ, საუდის არაბეთმა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ კონფლიქტის ესკალაციის ფონზე განაცხადა. რამდენიმე დღის წინ, ერ-რიადის გადაწყვეტილებით, ტერორიზმის ბრალდებით 47 შიიტი სიკვდილით დასაჯეს. მათ შორის იყო ცნობილი შიიტი მქადაგებელი ნიმრ ალ-ნიმრი, რომელიც სამეფოში მცხოვრები რელიგიური უმცირესობის უფლებებს იცავდა, რასაც ირანში საპროტესტო აქციები მოჰყვა. ასობით ირანელი თეირანში მდებარე საუდის არაბეთის საელჩოს თავს დაესხა და შენობის დაწვა სცადა. ამის შემდეგ ირანიდან საუდელი დიპლომატების ევაკუირება განხორციელდა. საუდის არაბეთის კვალდაკვალ, ირანთან დიპლომატიური ურთიერთობა ბაჰრეიმმაც გაწყვიტა. ბაჰრეინმა ირანელ დიპლომატებს 24 საათის განმავლობაში ქვეყნის დატოვება მოსთხოვა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება საუდის არაბეთის დიპლომატიურ მისიაზე თავდასხმის შემდეგ იქნა მიღებული. (ნიუპოსტი)

## ჩინური ბირჟების ვარდნის გამო, მთავრობამ ვაჭრობა შეაჩერა



ორშაბათს შანხაის ინდექსის 7-პროცენტიანი, შენჟენის ინდექსის კი 8-პროცენტიანი ვარდნის გამო ჩინეთის მთავრობამ ვაჭრობა დროებით შეაჩერა. ბირჟების ვარდნის მიზეზი წარმოების ინდექსის გამოქვეყნება გახდა, რომელიც გასული ექვსი წლის მინიმუმზე 48-მდე შემცირდა.

ორშაბათს ბირჟები სხვა აზიურ ბაზრებზეც შემცირდა, იაპონიის მთავარი ინდექსი Nikkei 225 დღეს 3,1 პროცენტით, ჰენგ სენის ინდექსი კი 2,7 პროცენტით შემცირდა.

საერთაშორისო ბაზარზე არასტაბილურობა საუდის არაბეთის მიერ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტასაც უკავშირდება. სპარსეთის ყურის ორ უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ ქვეყანას შორის კონფლიქტის რისკი ნავთობის ფასების ზრდის შესაძლებლობას ზრდის.

ევროპულ ბაზარზეც ვაჭრობა ვარდნით დაიწყო, გერმანული Dax-ის ინდექსი 3,2 პროცენტით შემცირდა. ფრანგული CAC 40 2,5 პროცენტით შემცირდა, ლონდონის მთავარი საფონდო ინდექსი FTSE 100 კი 2 პროცენტით შემცირდა. (ნიუპოსტი)

## ხუთიანში გაქვითული „ვოლგა“




ამ ოცდაათი წლის წინათ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არცთუ იშვიათი მოვლენა იყო საგნის „ჩაწყობა“, რაც უსწავლელი, უვიცი სტუდენტისთვის, ვიღაცის ან რაღაცის ხათრით, დადებითი, ან სულაც სასურველი ნიშნის დაწერას გულისხმობდა. ძნელად ნახავდით ლექტორს, რომელიც ქართულ მეგობრულ-ნათესაურ შეტევას არ ეპუებოდა და შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად ცოდნას მიიჩნევდა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ იშვიათთა შორის იყო ჩემი სიმამრი, სტუდენტთა რისხვა, თბილისის სახელმწიფო (მაშინ ერთადერთი) უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი, ოთარ ურიდია. ათჯერ მიიყვანდა სტუდენტს გამოცდაზე და, ვიდრე ძირფესვიანად არ ასწავლიდა, ნიშანს არ აღირსებდა. სტუდენტებსაც მეტი რა გზა ჰქონდათ და თანდათან ეფლობოდნენ ქართული ენის გრამატიკულ ლაბირინთებში. შედეგად: სტუდენტი იღებდა მყარ ცოდნას (ისეთს, გურამიშვილსაც რომ მოეწონებოდა), ოთარ ურიდიას უმტკიცდებოდა უზურპატორის სახელი. და ეს ხდებოდა მანამ, სანამ უკვე ცხოვრების ასპარეზზე გასული, ქართულის არმცოდნე ჟურნალისტების ან მასწავლებლების შემხედვარე ნასტუდენტარი არ აღმოაჩენდა, რომ ყველაზე დიდი სიკეთე სწორედ ამ „უმკაცრეს“ ლექტორს გაუკეთებია – მიუცია ის, რისთვისაც იმ დალოცვილ ტაძარში მივიდა და რითაც მთელი ცხოვრება უნდა მოეპოვებინა არსობის პური. ცხადია, ამას გვიან, ძალიან გვიან ხვდებოდნენ.

ეს ყველაფერი იქით იყოს და ნაბახუსევთან ბრძოლის მორიგ ეტაპზე, „არაგვში“ (იყო ასეთი რესტორანი თბილისში), თანამეინახე შემევედრა, ჩემს ცოლისდას გამოცდა აქვს ურიდიასთან და უნდა მიშველო, ხუთიანზე ნაკლები რომ მიიღოს, შინ არ შეუშვებენო.

შევცბი – ბატონ ოთართან თხოვნა რომ არ გაჭრიდა, ვიცოდი. აქეთ ამპარტავნობა მექაჩებოდა – სიძე ვარ და რა მოხდა, ერთი თხოვნა რომ შემისრულოს-მეთქი. მოკლედ, თავი მეჭრებოდა „გრუზინობაში“.

მეორე დღეს, სიდედრ-სიმამრს დავადექი „აფრიკაში“. კარგი კარმიდამო ჰქონდათ და იქაური მოსავლითაც ეხიდებოდნენ ოჯახს. აქეთურ-იქითურზე რომ ვილაპარაკეთ, გადავწყვიტე, სათქმელი შემოვლით მეთქვა და დავიწყე: როგორ არის თქვენი საქმე, როგორ სიძეს „ვოლგა“ არ მეკუთვნის თქვენგან-მეთქი? როგორ არა, მაგრამ ახლა მაგის თავი არ გვაქვსო. გასწავლით გამოსავალს-მეთქი. სიმამრი ყურადღებად იქცა. თამარ მეგრელიშვილს (სახელი და გვარი მოგონილია) ფრიადი დაუწერეთ ზამთრის სესიაზე და „ვოლგაში“ გაგიქვითავთ-მეთქი. ჩაეღიმა, ტყუილად გარჯილხარო, – გადამასხა ცივი წყალი.

ისე, სხვა პასუხს არც მე ველოდი. ბოდიში მოვუხადე, დავემშვიდობე და შინისკენ გამოვეშურე.

საშობაოდ ცოლეურს ვესტუმრე. გახანგრძლივებულ სადღესასწაულო განწყობას ხარკი გადავუხადე და კიდევ ერთხელ შევუდექი ბახუსისკენ მიმავალ აღმართს. ორი ჭიქა არ მქონდა დალეული, სიმამრი მეკითხება, რა ხდება, ისევ მიცვლი „ვოლგას“ ხუთიანშიო. დაცინვას კაცი არ მოუკლავს-მეთქი, ჩავიბურტყუნე და გახუხული ხინკლისკენ გავაპარე მზერა. არ მომეშვა, რომ დამეწერა ფრიადი, „ვოლგაზე“ პრეტენზია აღარ გექნებოდაო? არა-მეთქი. ჰოდა, კარგად იყავი, იმ შენს მეგრელიშვილს ხუთიანი გავუფორმეო. შევცბი. ასეთ შემობრუნებას არ ველოდი. ნუ ნერვიულობ, კარგად იცი, არც „ვოლგის“ მყიდველი ვიყავი და არც უვიცისთვის ნიშნის დამწერი, იცოდა ბავშვმა საგანი და ცოდნას როგორ დავუკარგავდიო.

სიმართლე გითხრათ, ამოვისუნთქე. ცხადია, სიმამრი მანქანის მყიდველი არ იყო და საძმაკაცოში მაინც შევინარჩუნე რეპუტაცია-მეთქი. ასე დავემშვიდობე სიმამრისგან პრესტიჟული საჩუქრის ყიდვის ილუზიას. სამართალმაც პური ჭამა და უჩვენოდაც ფრიადით შეაფასა თამარ მეგრელიშვილის ცოდნა.

P.S. ბევრი წლის შემდეგ, როცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დაიშალა და დამსახურებული, ამაგდარი ადამიანები ბედის ანაბარა დარჩნენ, საშუალება მომეცა, სიმამრისთვის ავტომანქანა მეჩუქებინა. საახალწლოდ, გავვარდი ბაზრობაზე და ოთარს ჩალისფერი, „ტაოტიანი“ „06“ მივგვარე.

თვალზე ცრემლი მოადგა, მე ხომ ამას ველარ შევძლებდიო. გურულად მოვუქციე ყბა – ასეა, მთელ ქვეყანაზე სიმამრები ყიდულობენ სიძეებისთვის მანქანებს, ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა, დაიმახსოვრეთ, პირველი სიძე ვარ, სიმამრს რომ მანქანა აჩუქა-თქო. აი, ასე „გავცვალე“ „ვოლგა“ ხუთიანში. არადა, ურიდიას ხუთიანი კი იყო „ვოლგაზე“ ძვირფასი! (sputnik_georgia.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## ერთი ფილა შოკოლადი – საკონცენტრაციო ბანაკში გადახდენილი ისტორია




„ჩემი სახელია ფრანსინ კრისტოფი. დავიბადე 1933 წლის 18 აგვისტოს, იმ წელს, როდესაც ჰიტლერმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო.

როდესაც გერგენ-ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკში ვიყავი, საოცარი რამ მოხდა:

შეგახსენებთ, რომ ომში დატყვევებული ბავშვები პრივილეგიით ვსარგებლობდით და უფლება გვქონდა, რამე წამოგვეღო – მაგალითად, პატარა ჩანთა, მასში მოთავსებული ორი ან სამი ნივთით. ერთმა ქალმა შაქარი წამოიღო, მეორემ – ბლუჯა ბრინჯი. დედაჩემმა ორი პატარა ნატეხი შოკოლადი ჩაიდო და მითხრა:

„ამას შევინახავთ იმ დღისთვის, როდესაც დავინახავ, რომ სრულიად განადგურებული იქნები და მართლა დაგჭირდება დახმარება. მე მოგცემ შენ ამ შოკოლადს და თავს უკეთესად იგრძნობ.

ჩვენთან ერთად ტყვეობაში, ერთი ორსული ქალი იყო. რომ შეგეხედა, ვერ შეამჩნევდი, ისეთი გამხდარი იყო. ერთხელაც დრო მოვიდა და მშობიარობა დაეწყო. ის ბანაკის საავადმყოფოში გადაიყვანეს, ქალს დედაჩემი და ყაზარმის უფროსი გაჰყვნენ. სანამ წავიდოდნენ, დედამ მითხრა:

„გახსოვს ის შოკოლადი, შენთვის რომ ვინახავდი?“

„კი, დედა“.

„თავს როგორ გრძნობ?“

„კარგად, დედა. კარგად ვიქნები“.

„კარგი მაშინ, თუ შენ კარგად ხარ, მინდა, რომ შენი ეს შოკოლადი იმ ქალს მივცე, ჩვენს მეგობარ ჰელენს. აქ ბავშვის გაჩენა ძალიან რთული იქნება, შეიძლება გარდაიცვალოს. თუ მას მივცემ შოკოლადს, შეიძლება ამან უშველოს“.

„კარგი, დედა, მიდი“.

ჰელენმა პატარა და უმწეო ბავშვი გააჩინა. მან შოკოლადის ერთი ფილა შეჭამა, გადარჩა და ყაზარმაში დაბრუნდა. პატარას არასდროს უტირია, არასდროს.

6 თვის შემდეგ ბანაკი გაათავისუფლეს.

ჩვენ პატარა საფრანგეთში წავიყვანეთ. რამდენიმე წლის წინათ შვილმა მკითხა: „დედა, ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი რომ გყოლოდათ, როდესაც დაბრუნდით, იქნებ უფრო ადვილი ყოფილიყო ამ ყველაფერთან გამკლავებაო“.

მე ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ ისინი არ გვყავდა. არავის არ უფიქრია სულიერ ავადმყოფობაზე. მაგრამ შენ კარგი იდეა მომაწოდე, ლექციას ჩავატარებ ამ თემაზე“.

მართლაც მოვაწყვე ლექცია თემაზე: „რა მოხდებოდა, 1945 წელს, კონცენტრაციის ბანაკს გადარჩენილებს რომ ჰქონოდათ ფსიქოლოგიური კონსულტაცია?“ ლექციამ ბევრი ადამიანის ყურადღება მიიპყრო. ბევრი საინტერესო იდეა წარმოიშვა.

ბოლოსკენ სცენაზე ქალი ავიდა და თქვა:

„მე მარსელში ვცხოვრობ და ფსიქიატრი ვარ. სანამ ჩემს აზრს მოგახსენებთ, რაღაც მაქვს ფრანსინ კრისტოფისთვის“.

მან ჯიბეში ხელი ჩაიყო და შოკოლადის ნატეხი ამოიღო, მომცა და მითხრა: მე ვარ ის ბავშვი...“ (ambebi.ge)

## „ერთი წლის შემდეგ მკვლელი ისევ თავისუფალია“ – „შარლი ებდო“ ტერაქტის წლისთავზე სპეცნომერს უშვებს




პარიზში „შარლი ებდოს“ რედაქციაზე განხორციელებული ტერორისტული აქტის 1 წლის თავზე, სატირული ჟურნალი სპეციალურ ნომერს უშვებს. ჟურნალის, რომელიც ოთხშაბათს გამოვა, გარეკანზე წვერებიანი ღმერთის კარიკატურაა გამოსახული, რომელიც „კალაშნიკოვითაა“ შეიარაღებული და გაკეთებულია წარწერა „ერთი წლის შემდეგ მკვლელი ისევ თავისუფალია“.

ჟურნალი 1-მილიონიანი ტირაჟით გამოვა, მათგან ათობით ათასი საფრანგეთის ფარგლებს გარეთ გაიგზავნება.

გამოცემის სპეციალურ ნომერში გამოქვეყნდება ტერაქტის მსხვერპლი კარიკატურისტების ნამუშევრები და ცნობილი ადამიანების მოსაზრებები, როგორიცაა საფრანგეთის კულტურის მინისტრი ფლორ პელერინი, მსახიობი იზაბელა აჯანი, შარლოტა გენსბურგი, ჯულიეტ ბინოში და სხვები. (ნიუპოსტი)

## „ახალ წელს ვხვდები ჯიბეგაფხეკილი, დავდივარ უფეხსაცმლოდ...“ – გალაკტიონის ახალი წელი

„ისევე ავადა ვარ და ახალ წელს ვხვდები ჯიბეგაფხეკილი... დავდივარ უფეხსაცმლოდ; ერთადერთი მიღწევა ეს პალტოა, რომელიც, როგორც იქნა, ვიშოვე... რაც ყველაზე საშინელია, ისევ მაწვალებდა თვითმკვლელობის ფიქრი, რომელიც მეგონა, რომ სამუდამოდ ჩამოვიშორე. საათი დაყენებულია სწორედ თორმეტზე და მისი რეკვა შემატყობინებს ახალი წლის დადგომას. ღირს კი რაიმეს გახსენება მიმავალი წლის ამბებიდან?..

მთელი წლის განმავლობაში საზიზღრად ვსაზრდოობდი და ალბათ იმის ბრალია, რომ ყველაფრის ხალისი მეკარგება. ათასჯერ გამძარცვეს. ერთხელ პალტო წამართვეს, მეორეჯერ პიჯაკი დოკუმენტებით (ოო, ეს საშინელება იყო), მესამეჯერ ფეხსაცმელები და კალოშები, მეოთხეჯერ ქუდი (სულ სამი ქუდი დავკარგე ამნაირად)...

სხვადასხვა დროს დავკარგე ორი ახალთახალი შარფი, კრიზისის დროს გავყიდე უკანასკნელი შარვალი... დედაჩემმა სოფლიდან წყევლით გამომისტუმრა. აბესალომი აქ ჩამოვიდა, ცარიელი „ლაი-ლაი“ გამართა და ისევ წავიდა.

ოლია სწორედ მაშინ გაჰქრება, როდესაც ავადა ვარ და წყალის მომწოდებელი კაცი არ არის. ამასწინათ მთელი ერთი კვირა ვიყავი ავად, ვიწექი საწოლში მშიერი და კაცი ჩემთან არავინ მოსულა; მშიერი, ავადმყოფი, უპალტოობის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი 24 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე მარტოდ მარტო ვიყავი, კაცი არ იყო ჩემი ამბის მკითხველი. ჩემთან ბინაში სწორედ ხუთი წელიწადია არც ერთი მეგობარი არ მოსულა, ნუ თუ ეს არ არის უბედურება? კაცი რომ მოჰკვდე საკუთარ ოთახში, ამას გაიგებენ მხოლოდ 15 დღის შემდეგ, როდესაც გახრწნის სუნი გაანგრევს კარებს და ეზომდე გაატანს“...

გალაკტიონის დღიურიდან: 1932 წელი. 31 დეკემბერი (mshoblebi.ge)



# მარტო „მალბორო“, „ელემი“ და „პარლამენტი“ კი არა, ყველა სიგარეტს ევროპული ფასი დაედება (?!)

## რას გვიმალავს ხელისუფლება?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



ახალი წლის შემდეგ საქართველოში ზოგიერთი სახეობის სიგარეტზე ფასები კატასტროფულად გაძვირდა – „მარლბორო“, „ჩესტერფილდი“, „პარლამენტი“. ლ&მ... მაგალითად, თუ 1 კოლოფი „პარლამენტი“ 4-4.50 ლარი ღირდა, „მარლბორო“ კი – 3.30-4 ლარი, ამჟამად ზოგ ადგილას „პარლამენტი“ 10-11 ლარი ღირს, „მარლბორო“ კი – 8 ლარი. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ თამბაქოს ნაწარმზე ფასების ზრდა მასზე აქციზური გადასახადების ზრდასთან იყო დაკავშირებული. ეს მოსაზრება ძირშივე მცდარი იყო. ერთი, რომ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი მხოლოდ 20%-ით გაიზარდა და ფასებში ამხელა სხვაობას ვერ მოგვცემდა. მეორეც, ეს აქციზის გადასახადი ყველა სახეობის სიგარეტს შეეხო, ანუ სიგარეტის სახეობათა უმრავლესობამ 20-30 თეთრით მოიმატა, 4-5 ლარით კი მხოლოდ შეზღუდული სახეობის სიგარეტები გაძვირდა. ფინანსთა სამინისტრომ სიგარეტის გაძვირებასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, სადაც განაცხადა, რომ ზოგიერთი დასახელების სიგარეტის ფასის მნიშვნელოვან გაძვირებას არ აქვს კავშირი თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის განაკვეთის ზრდასთან. მოკლედ, ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული.

საზოგადოებაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ სიგარეტის ნაირსახეობათა გაძვირება „ფილიპ მორისსა“ და მის დისტრიბუტორ კომპანია „ომეგას“ შორის კონტრაქტის გაწყვეტაა. ამ ვარაუდს ისიც ამტკიცებს, რომ გაძვირდა მხოლოდ სიგარეტის ის სახეობები, რომლებიც „ომეგას“ შემოჰქონდა. მოკლედ, სავარაუდოდ, სწორედ „ომეგასა“ და „ფილიპ მორისს“ შორის კონტრაქტის გაწყვეტა უნდა იყოს რამდენიმე სახეობის სიგარეტის ფასის გაძვირების მიზეზი, თუმცა სხვა მიზეზებზეც შეიძლება საუბარი.

**„ალია“ სიგარეტის გაძვირებასთან დაკავშირებით სიგარეტის დისტრიბუტორის ფირმა „ელიზის“ ყოფილ დამფუძნებელს, თამაზ ელიზბარაშვილს ესაუბრა. სხვათა შორის, რამდენიმე წლის მანძილზე თავად იყო „ფილიპ მორისის“ დისტრიბუტორი და იმპორტიორი კომპანია.**

**— ბატონო თამაზ, თქვენი ინფორმაციით, რა არის სიგარეტის გაძვირების მიზეზი?**

– დეფიციტის გამო მოხდა და ეს უნდა განმარტოს იმ კომპანიამ, რომელსაც შემოაქვს ეს კონკრეტული სიგარეტი – „მარლბორო“, „პარლამენტი“, „ჩესტერფილდი“...

**— ეს შემომტანი კომპანია აქამდე „ომეგა“ იყო და ახლა ამბობენ, რომ „ფილიპ მორისმა“ მას კონტრაქტი შეუწყვიტა, სიგარეტს აღარ აძლევს და დეფიციტიც და გაძვირებაც ამან გამოიწვია. დავუშვათ და ასეა, რა მიზეზის გამო შეიძლებოდა „ფილიპ მორისს“ კონტრაქტი შეეწყვიტა?**

– მე ადრე „ფილიპ მორისის“ დისტრიბუტორი ვიყავი, მაგრამ 1997 წელს ისე შემიწყვიტეს კონტრაქტი, მიზეზი საერთოდ არ უთქვამთ, ერთი ქაღალდი არ მომცეს, რომელშიც ეს მიზეზი ეწერებოდა და სასამართლოში მაინც ვიჩივლებდი ჩემი დარღვეული უფლებების აღსადგენად. თუ „ომეგასაც“ გაუწყვიტეს კონტრაქტი, ამის გაკეთება სრულიად უმიზეზოდაც არ გაუჭირდებოდათ. შესაძლოა, იყო კონტრაქტის შეწყვეტის რეალური და საფუძვლიანი მიზეზიც, მაგრამ „ფილიპ მორისისგან“ არაფერია გასაკვირი. თუმცა, მე არაფერს ვამტკიცებ, ვერსიის დონეზე განვიხილავ ამას. სიგარეტის მწარმოებელი ყველა მსხვილი კომპანია 1-წლიან კონტრაქტს აფორმებს დისტრიბუტორთან, 1 წლის შემდეგ, კიდევ ერთწლიანს და ა.შ. ასეა „ფილიპ მორისის“ შემთხვევაშიც და ასეა სხვა პარტნიორებს შორისაც. მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ ორ პარტნიორს შორის კონტრაქტის შეწყვეტა ყველაზე დამაჯერებელი ვერსიაა სიგარეტის ნაირსახეობათა გაძვირების მიზეზთა შორის. სხვა ტექნიკური მიზეზით, დავუშვათ, ტრანსპორტირების მიზეზით ამ დეფიციტის შექმნას ვერ ავხსნი, რადგან ქვეყანაში უპრობლემოდ შემოდის „ჯაპან ტობაკო ინტერნეიშენელისა“ და „ბრიტიშ ამერიკან ტობაკოს“ ნაწარმი. შესაბამისად, გამოდის რომ „ფილიპ მორისს“ არანაირი ტექნიკური პრობლემა არ შეჰქმნია, მაშინ ეს პრობლემა ამ ფირმებსაც შეექმნებოდათ და შესაბამისად, ისინიც შეწყვეტდნენ ან შეაფერხებდნენ სიგარეტის იმპორტს საქართველოში.

**— დავუშვათ და „ფილიპ მორისმა“ მართლა შეუწყვიტა კონტრაქტი „ომეგას“ და ამ შემთხვევაში, ცხადია, სხვა პარტნიორს მოძებნის საქართველოში. ასეთ შემთხვევაში, რამდენი დრო დასჭირდება ახალი პარტნიორის მოძიებასა და საქმის ძველებურად აწყობას, სიგარეტის საქართველოში შეუფერხებლად შემოტანას?**

– კონკრეტულ შედეგზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, თუ „ფილიპ მორისმა“ გაწყვიტა კონტრაქტი „ომეგასთან“, ან ახალ პარტნიორს მოძებნის სასწრაფოდ, ანდა შესაძლოა, თავად გახსნას წარმომადგენლობა თბილისში და უშუალოდ განახორციელოს დისტრიბუცია. „ფილიპ მორისის“ ხელმძღვანელები ერთი კი არა, რამდენიმე წლით წინ იყურებიან და არ გამოვრიცხავ, რომ ვიდრე „ომეგასთან“ კონტრაქტს გაწყვეტდნენ, თუ გაწყვიტეს, მანამდე მისი შემცვლელი უკვე მოძებნილი ჰყავდეთ საქართველოში. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ყველაფერი მოულოდნელად მოხდა და ასეთ შემთხვევაში, გარკვეული დრო დასჭირდება ახალი პარტნიორის მოძებნასა თუ წარმომადგენლობის გახსნას.

**— რამდენი დრო დასჭირდება, 2-3 თვე?**

– ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ დაახლოებით, ალბათ, მაგდენი.

**— ცხადია, ამ ყველაფრის ფონზე არარეალურია მოსაზრება, რომ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადმა გააძვირა ეს კონკრეტული სახეობის სიგარეტები.**

– არა, ეს უადგილოა, არარეალურია, აქციზმა ყველა სახეობის სიგარეტი ერთნაირად გააძვირა, „ფილიპ მორისის“ სიგარეტი კი კატასტროფულად გაძვირდა. მგონი, ჩვენ გაძვირების რეალურ მიზეზებზე ვილაპარაკეთ. მე ერთ ვერსიასაც არ გამოვრიცხავ. შესაძლოა, „ფილიპ მორისსა“ და „ომეგას“ შორის კონტრაქტი არ შეწყვეტილა და მათ ხელოვნურად შექნეს დეფიციტი კონკრეტული სიგარეტებისა, რომ გაძვირებულიყო.

**— ეს რაში სჭირდებოდათ?**

– ჩვენ ისეთი სისწრაფით მივიჩქარით ევროპისკენ, რომ მალე საქართველოში არამხოლოდ სიგარეტი, ყველაფერი გაძვირდება ეტაპობრივად და ევროპულ ფასებს დაეწევა, ცხოვრების დონე კი არ შეიცვლება, ძველებური დარჩება.. ზუსტად ევროპული ფასებია – „მარლბორო“ 8 ლარი და „პარლამენტი“ 11 ლარი. ვვარაუდობ, ამ ორმა კომპანიამ ხომ არ გადაწყვიტა, ხალხი შეაჩვიოს სიგარეტის ევროპულ ფასებს, ოღონდ ამას არ ვამტკიცებ, უბრალოდ, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესიდან გამომდინარე ვფიქრობ ასე. ევროასოცირების ხელშეკრულებაში ქართული პროდუქციის ევროპულ ფასებთან მაქსიმალურ მიახლოებაზეც წერია და მათ შორის, სიგარეტზეც. აი, ამიტომ დამებადა ეს აზრი.

**— რატომ მოითხოვს ევროპა ჩვენგან სიგარეტის ფასების ევროპულთან მიახლოებას?**

– ევროპაში 1 კოლოფი სიგარეტი 5-6 ევრო ღირს და აქ 2-3 ლარი რომ ეღირება, ცხადია, იარსებებს საფრთხე, სხვადასხვა კონტრაბანდული გზით ევროკავშირის ქვეყნებში შეიტანონ სიგარეტი საქართველოდან, ეს კი ამ ქვეყნების სიგარეტის ბაზარს აზარალებს. ახლა მთლად ძირს ვერ გამოუთხრის, მაგრამ გარკვეულ ზიანს მიაყენებს. ამიტომ პრობლემა ძირშივე რომ აღმოფხვრა, ყველაზე მოკლე გზა ის არის, რომ საქართველოში სიგარეტის ფასი ევროპულს დაუახლოო, ან გაუთანაბრო, მერე კონტრაბანდა აზრს დაკარგავს, ფასში მნიშვნელოვანი სხვაობა თუ არ იქნება.

**— თუ ეს ვერსია სწორია, მაშინ გაძვირებული სიგარეტის გაიაფებას აღარ უნდა ველოდოთ.**

– ლოგიკურად ასე გამოდის.

**— დავუშვათ, მართალი ბრძანდებით, მაგრამ რატომ გააკეთეს ეს „ფილიპ მორისმა“ და „ომეგამ“ და არა „ჯაპან ტობაკო ინტერნეიშენელმა“, „ბრიტიშ ამერიკან ტობაკომ“ და მისმა პარტნიორებმა და დისტრიბუტორებმა საქართველოში? რატომ არ გააძვირეს მათი წარმოების ყველა სიგარეტი საქართველოში?**

– ვერ გეტყვით... ისე, თუ ეს ვერსია სწორია, არც ის გამოვრიცხოთ, რომ ყველა სახის უცხოური სიგარეტი გაძვირდეს საქართველოში და ევროპულ ფასებს დაეწიოს.






ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო ირანულ გაზს მიიღებსო



ირანი საქართველოსთვის გაზის მიწოდებას აპირებს და ამ საკითხზე საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, – როგორც ირანული მედია წერს, ამის შესახებ ირანული კომპანია NIGEC-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ალირეზა კამელიმ განაცხადა. მისი ინფორმაციით, ირანულ გაზს საქართველო სომხეთის გავლით მიიღებს.

გეგმის თანახმად, საქართველოს დღეში 300-500 მილიონი კუბური ფუტი ირანული გაზი მიეწოდება, რაც საქართველოს ელექტროენერგიის წარმოებას მოხმარდება. კამილის განცხადებით, საქართველოსთვის განკუთვნილი ირანული გაზი შიდა მოხმარებისთვისაა გათვლილი და მისი ევროპაში ექსპორტზე გატანა არ იგეგმება. (ინტერპრესნიუსი)

## გია ხუხაშვილი — სახელისუფლებო პარტიის თავმჯდომარის მიერ ალტერნატიული ძალის შექმნაზე საუბარი ნიშნავს, რომ ის პარტიიდან გააგდეს



– სახელისუფლებო პარტიის თავმჯდომარის მიერ ალტერნატიული ძალის შექმნაზე საუბარი ნიშნავს, რომ ის გააგდეს პარტიიდან, – ამის შესახებ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა განაცხადა. ხუხაშვილის თქმით, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია, თავისი გუნდი ჩამოაყალიბოს, იუმორად შეიძლება შეფასდეს.

– იმისთვის, რომ პარტია შექმნა, უნდა გქონდეს საკუთარი პოლიტიკური კაპიტალი, პოლიტიკური ავტორიტეტი. გამომდინარე იქიდან, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, უბრალოდ, ჩრდილი იყო და საკუთარი პოლიტიკური ბეგრაუნდი, ვილაცისგან დამოუკიდებელი, ვერ შეიქმნა, ბიძინა ივანიშვილის ეს გამონათქვამი რაღაცნაირად იუმორად შეიძლება შეფასდეს. მან თქვა მთავარი რამ, რომ ის აღარ იქნება სახელისუფლებო პარტიაში და ალტერნატიული პარტია შექმნას ადამიანმა, რომელიც სახელისუფლებო პარტიის თავმჯდომარე იყო, ნიშნავს, რომ ის, უბრალოდ, გააგდეს პარტიიდან. ნებისმიერი პარტიის ამოცანა რა არის? – რომ მოვიდეს ხელისუფლებაში. როდესაც უკვე სახელისუფლებო პარტიის თავმჯდომარე მიდის და საუბარია იმაზე, რომ მან შექმნას ალტერნატიული პარტია, ვიმეორებ, ეს ნიშნავს, რომ ის გააგდეს პარტიიდან, – განაცხადა ხუხაშვილმა.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილის სამომავლო პერსპექტივებს, ხუხაშვილი მას წარმატებებს უსურვებს, თუმცა იმავე სფეროში, სადაც პოლიტიკაში მოსვლამდე საქმიანობდა.

– ის არის საშუალო რანგის მენეჯერი, საკმაოდ კვალიფიციური, კარგი განათლებამიღებული და ვუსურვებ წარმატებას. თუმცა ის, რომ მან სახელმწიფო მაღალ თანამდებობაზე კიდევ რაღაც როლი ითამაშოს, ძალიან არასერიოზული იქნებოდა, – განაცხადა ხუხაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## სიბრაზე, როგორც დაავადებების შედეგი



შეიძლება ადამიანი თავისი ხასიათიდან გამომდინარე იყოს სულ გაბრაზებული და აღრენილი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი სხვადასხვა პრეპარატის მიღების ან დაავადების არსებობის გამოც მოხდეს.

ბრიტანელმა მეცნიერებმა არა მხოლოდ კვლევებით დაამტკიცეს ეს ფაქტი, არამედ დაავადებებიც ჩამოთვალეს, რომელთა „წყალობითაც“ ადამიანი აგრესიული და ბრაზიანი ხდება.

– ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერაქტიურობა. სიბრაზე მოცემულ შემთხვევაში ჰორმონებითაა გამოწვეული, რომლებიც ორგანიზმის ყველა ქსოვილზე მოქმედებს, მათ შორის, თავის ტვინზეც.

– ქოლესტერინის მაღალი შემცველობა. ამ უსიამოვნების გამო ორგანიზმში გამომუშავდება სტატინები, რაც ხდება კიდეც აგრესიის მოზღვავების მიზეზი.

– დიაბეტი. რამდენადაც ცნობილია, დაავადებას ახლავს სისხლში შაქრის დონის მუდმივი ცვალებადობა, რასაც სიბრაზის შეტევების გამოწვევა შეუძლია.

– დეპრესია. ამ შემთხვევაში, ადამიანის მდგომარეობა დამოკიდებულია ორგანიზმში ნივთიერება სეროტონინის დონეზე. მისი ნაკლებობა აპათიას და გაღიზიანების პროვოცირებას ახდენს.

– ძილის წამლების მიღება. ხდება თავის ტვინის მუშაობის შეფერხება.

– ალცჰეიმერის დაავადება მთელ თავის ტვინს აზიანებს, განსაკუთრებით კი იმ ნაწილს, რომელიც ემოციებზეა პასუხისმგებელი.

– ღვიძლის დაავადებები. იმ დროს, როცა დარღვეულია ღვიძლის მუშაობა, სისხლში მავნე ტოქსინები მატულობს, რომლებიც შედეგად მთელ ორგანიზმს წამლავს, მათ შორის, ტვინსაც.

– წინამენსტრუალური ციკლი და მენოპაუზა. სიბრაზე გამოწვეულია ორგანიზმში ჰორმონ ესტროგენის დონის შემცირებაზე.

– ინსულტი. იმის გამო, რომ ინსულტის დროს ტვინში სისხლის მიმოქცევა ირღვევა, ძალიან დიდია ალბათობა, რომ მკურნალობის პროცესში ადამიანი აგრესიული და მუდმივად გაღიზიანებული იყოს.

*taonews.org*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## კბილების გამოხეხვა ასაკობრივ გონებასუსტობას ებრძვის



გვინდა, არ გვინდა, ასაკში ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები მაინც იკლებს. საბედნიეროდ, არის რაღაც მეთოდები, რომლებიც ამ უსიამოვნო პროცესთან შებრძოლებაში დაგვეხმარება. მაგალითად, თუნდაც კბილების გამოხეხვა.

კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტების თქმით, პირის ღრუს ჰიგიენას პირდაპირი კავშირი აქვს ასაკობრივ გონებასუსტობასთან. მათი თქმით, რაც უფრო ხშირად გავიხეხავთ კბილებს, რისკიც მით უფრო მცირდება.

იმისთვის, რათა ეს ჰიპოთეზა შეემოწმებინათ, სპეციალისტებმა 5500 ადამიანი შეარჩიეს, რომელთა ასაკიც 52-დან 105 წლამდე მერყეობდა. დასაწყისში არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ალცჰეიმერის დაავადების ნიშნები. მეცნიერებმა მოხალისეებს ჩაუტარეს გამოკითხვა, რათა გაერკვიათ, როგორ მდგომარეობაში იყო მათი კბილები, რამდენად იცავდნენ პირად ჰიგიენას, იყენებდნენ თუ არა კბილის პროთეზებს და ასე შემდეგ.

კვლევა 18 წელი გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე ზოგიერთ მოხალისეს, სამწუხაროდ, ასაკობრივი გონებასუსტობა შეეპარა.

დადგინდა, რომ მათ შორის 65 პროცენტით მეტი აღმოჩნდა ისეთი, ვინც კბილებისა და პირის ღრუს ჰიგიენას უგულებელყოფდა.

საინტერესოა ისიც, რომ ეს კანონზომიერება მეტწილად სუსტი სქესის შემთხვევაში გამოვლინდა.

მიღებული შედეგით სპეციალისტები დიდად არც გაკვირვებულან, რადგან, როგორც ამბობენ, კბილების გამოხეხვისას ხდება ისეთი მავნე ბაქტერიების განადგურება, რომლებიც უამრავი უსიამოვნების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს.

*dr20.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## რა მოხდება, თუ?.. პასუხები ყველაზე უცნაურ კითხვებზე



ძალიან ხშირად უწევს, ფაქტობრივად, ყველა ადამიანს, საკუთარ თავს ან ნაცნობ-მეგობარს რიტორიკული კითხვა დაუსვას, რომელზე პასუხის გაცემაც თანამედროვე პირობებშიც კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, არ გამოვა მისი რეალობაში გადმოტანა.

წამყვანმა ფიზიკოსებმა ყველაზე გავრცელებულ უცნაურ კითხვებს პასუხები გასცეს, თუმცა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით:

**— რა მოხდება, თუ ვინმე კოსმოსში პისტოლეტს გაისვრის?**

იმ შემთხვევაში, თუ მზის სისტემაში იქნებით, ტყვია მუდმივად პირდაპირ იფრენს, მაგრამ, ამასთანავე, მას მუდმივად მიიზიდავს ან მზე ან რომელიმე უახლოესი გიგანტური პლანეტა. ვთქვათ, პისტოლეტიდან გაისროლეთ მთვარეზე, უფრო ზუსტად კი მის ყველაზე მაღალ მთაზე დგომისას, ზუსტი სროლის შემთხვევაში, ტყვია მთვარეს წრეს დაარტყამს და... თქვენ მოგხვდებათ.



**— რა მოხდება, თუ ყველა ადამიანი ერთდროულად ახტება?**

ალბათ, ასეთი კითხვა ბავშვობაში თავადაც გაგჩენიათ, ჰოდა, აი, რას გვპასუხობენ ფიზიკოსები: თუკი ყველა ადამიანი ერთდროულად ახტება, დედამიწამ შესაძლოა, მდებარეობა შეიცვალოს, თუმცა იმის გამო, რომ ჰაერში ამხტარი ყველა ადამიანი კვლავ მიწაზე დახტება, დედამიწა ისევ საწყის პოზიციას დაუბრუნდება.

**— რა მოხდებოდა, დინოზავრები რომ არ გადაშენებულიყვნენ?**

ჩვენ თუ გვკითხავთ, მოკლე პასუხს გაგცემთ: ვაი და უი!.. რაც შეეხება მეცნიერების პოზიციას, როცა მას გაეცნობით, დაგვეთანხმებით, რომ მოსაზრება ძალიან საკამათოა. კერძოდ, ბევრი სწავლული მიიჩნევს: დინოზავრები რომ არ გადაშენებულიყვნენ, ისინი ევოლუციას განიცდიდნენ და მოაზროვნე არსებები „დინოზავროიდები“ გახდებოდნენ.

**— როგორ განვითარდებოდა დედამიწა მთვარის გარეშე?**

მეცნიერების გარკვეულ წრეებში მიიჩნევა, რომ თავდაპირველად მთვარის ორბიტა ძალიან პატარა იყო, რასაც მუდმივად ძლიერი მოქცევები მოჰყვებოდა და სწორედ ამის შედეგად მოხდა დედამიწის ფორმირება. ამდენად, რომ არ ყოფილიყო მთვარე, არც დედამიწა იარსებებდა.



**— რა მოხდებოდა, ყველა ადამიანი ჭკვიანი რომ ყოფილიყო?**

ბევრი ექსპერტის აზრია, რომ ასეთ შემთხვევაში ვიქნებოდით გაცილებით ბედნიერები, ჯანმრთელები და შესაძლოა, რელიგიაზეც უარი გვეთქვა. მიუხედავად ამისა, ინდივიდუალიზმს არავინ დაკარგავდა. ერთი კია, კონფლიქტური ადამიანი მაინც ნებისმიერ შემთხვევაში, ისეთივე კონფლიქტური იქნებოდა, როგორიც დღესაა.

**— რა მოხდება, ყველა კატა რომ უცბად გაქრეს?**

კატა ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილია. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით მცირე მასშტაბების ექსპერიმენტიც კი ჩატარებულა. კერძოდ, ზოგიერთი მცირე ზომის კუნძულიდან ყველა კატა ერთბაშად გააქრეს. შედეგად, იქ უცბად მოხდა თაგვებისა და ვირთხების მომრავლება, რომლებიც მუსრს ავლებდნენ ხორბლის მარაგს, ავრცელებდნენ უმძიმეს დაავადებებს, ანადგურებდნენ ჩიტებს და მათ ბუდეებს. როგორც კი ამ კუნძულებზე კატები კვლავ დააბრუნეს, სიტუაცია უმოკლეს დროში გამოსწორდა.

*hozna.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების ზიანი ნარკოტიკებს გაუთანაბრეს



აბა, ისე როგორ იქნება, თვის მანძილზე ერთხელ მაინც არ შეაწუხოს ადამიანი რამის ტკივილმა? ჰოდა, ამ უსიამოვნებას რომ გავუმკლავდეთ, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების დალევა გვიწევს და გვგონია, რომ ამით შვებას მივიღებთ.

ზოგადად, ცნობილი ფაქტია, რომ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები და პრინციპში, ნებისმიერი წამალი, ადამიანისთვის მხოლოდ დადებითი შედეგების მომტანი არ არის, თუმცა ასე რთულად თუ იყო საქმე, ალბათ, ბევრი არ იფიქრებდა.

ებრაელმა მეცნიერებმა ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს ძალიან უარყოფითი რეპუტაცია შეუქმნა და ახლავე გეტყვით, რატომ: აღმოჩნდა, რომ ამ კატეგორიის მედიკამენტების ზედმეტი დოზირებისგან წლის მანძილზე უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე მძიმე ნარკოტიკების დოზის გადამეტებისგან.

სხვათა შორის, ეს არ არის ერთადერთი მიზეზი, რომელიც ტკივილის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებისგან თავის შეკავებისკენ გვიბიძგებს. კვლევის ფარგლებში ებრაელმა მეცნიერებმა ასეთი დასკვნაც გამოიტანეს: ტკივილგამაყუჩებლების ბოროტად მოხმარება ჰიპერტონიის და როგორც შედეგის – ინსულტისა და ინფარქტის რისკს ამაღლებს.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## პროსტატის მკურნალობას ხახვითა და ნივრით დაიწყებენ



ნატურალური ფიტონციდები (ნივთიერებები, რომლებსაც გამოყოფენ უმაღლესი მცენარეები და რომლებიც თრგუნავენ ბაქტერიების, სოკოებისა და უმარტივესთა ზრდას), ანუ ხახვი და ნიორი საშუალებას იძლევა, ვებრძოლოთ არა მხოლოდ მწვავე რესპირატორულ დაავადებებს, არამედ შეგვიძლია, პროსტატის კიბოსაც კი ვებრძოლოთ.

ხახვისა და ნივრის საოცარი თვისებების გამოსააშკარავებლად კანადელი მეცნიერები 2 წლის მანძილზე მუშაობდნენ, პროცესში კი 450 ჯანმრთელი და 240 წინამდებარე ჯირკვლის კიბოთი დაავადებული ჩართეს.

აღმოჩნდა, რომ დღეში 5 გრამი ხახვის ან ნივრის მიღებას კიბოს გაჩენის რისკის მთელი 50 პროცენტით შემცირება შეუძლია.

სპეციალისტების განმარტებით, ასეთი შედეგის მიღწევა ნივთიერება ალიუმის წყალობითაა შესაძლებელი, რომელიც ხახვსა და ნიორს არასასიამოვნო გემოს ანიჭებს.

კვლევის ორგანიზატორები აღნიშნავენ იმასაც, რომ ხახვისა და ნივრის საოცარი თვისებების შესახებ უკვე ძალიან დიდი ხანია ცნობილია და საკმაოდ დიდ ჩამონათვალს ახლა უკვე კიბოს დამარცხების უნარიც დაემატა.

*tehno-med.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## მაიმუნის წელი მავნე ჩვევების დათმობაში დაგეხმარებათ



რითია მაიმუნის წელი კარგი და რა სიკეთეს უნდა ველოდოთ მისგან?

თურმე, ყველაზე კარგი სარგებელი, რაც მაიმუნისგან შეგვიძლია მივიღოთ, მავნე ჩვევების დათმობაა.

ჩვევებს, რომლებსაც წლებია ებრძვით და ვერაფრით მორევიხართ, ამ წელს მარტივად დაამარცხებთ. ასე რომ, თუ გსურთ მოწევის ან სმის მიტოვება, ან ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების დაწყება, თქვენი დროა.

როგორც ამბობენ, მაიმუნი ცვალებადი ხასიათის მქონე ლედის ჰგავს და ხელს შეგიწყობთ, ძველი მავნე ჩვევების დათმობასა და ახლის გამომუშავებაში.

იმისთვის, რომ მავნე ჩვევა დათმოთ, გამოიყენეთ მარტივი სქემა: წარმოიდგინეთ, რომ მავნე ჩვევა აღარ გაქვთ და კონცენტრირება მოახდინეთ მხოლოდ ერთ ჩვევაზე. იმუშავეთ მასზე 3 კვირის განმავლობაში, ამ დროში კი გამოიმუშავებთ ახალ, სასარგებლო ჩვევას.

ჰო, თუ იტყვით, რომ ეს ადრეც გაგიკეთებიათ და არაფერი გამოსულა, პასუხი ასეთია – ადრე სხვა წელი იყო, ახლა კი ცეცხლოვანი მაიმუნის წელია, რომელიც ცვლილებების წლად არის გამოცხადებული.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ავსტრიაში მოთხილამურეები ხელოვნური თოვლის საფარის გამო იღუპებიანო

ზამთარი თოვლთან ასოცირდება, თოვლი – თხილამურებით სრიალთან, ცუდ ამინდში თხილამურებით სრიალი კი – კისრის მოტეხასთან.



სწორედ, გახშირებული მოტეხილობებისა და დაზიანებების მსხვერპლი ხდებიან ავსტრიის ზამთრის კურორტების სტუმრები.

მაშველები ამბობენ, რომ დღეში დაახლოებით 330 სხვადასხვა სიმძიმის შემთხვევა ფიქსირდება. სისხლჩაქცევითა და მოტეხილობით დაწყებული სასიკვდილო ვარდნით დამთავრებული.

უიღბლო შემთხვევების მთავარი მოქმედი პირი კი ხელოვნური თოვლის საფარია, რომელიც ვიწრო ფენად დევს და მოთხილამურე მარტივად ვარდება გზიდან, ამიტომაც ტრავმისგან თავის დაღწევა შეუძლებელია. მაგრამ ეს ერთადერთი პრობლემა არ არის. ხელოვნური თოვლის სტრუქტურა ისეთი არ არის, როგორიც ბუნებრივი თოვლისა. მასზე სრიალი გაცილებით რთულია, დავარდნა კი გაცილებით მტკივნეული.

რამდენიმე დღის წინ ზაალბახ-ჰინტერგლემის სამთო კურორტზე 21 წლის ტურისტი გარდაიცვალა. ხელოვნური თოვლის საფარიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა. მიუხედავად შლემისა და ზურგის დამცავი ჟილეტისა, გზიდან ვარდნა და შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ტურისტი ადგილზე გარდაიცვალა. მსგავსი ისტორია ათობით ხდება.

შვარცახის საგანგებო საავადმყოფოს უფროსი მანფერდ მიტერმეიერი ამბობს: „ამ წელს ბევრი სერიოზული ტრავმისა და უბედური შემთხვევის მომსწრე გავხდით, ვინაიდან მოთხილამურეები, თოვლის ნაცვლად, პირდაპირ მაგარ მიწაზე ეცემიან“.

*365news.biz*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## შვილიშვილისთვის ლიქიორიანი შოკოლადის ჩუქების გამო ბებიას... პოლიციაში უჩივლეს



მოკლედ, ბებიას შვილიშვილი ველარ გაუხარებია და შვილიშვილს ბებიასგან საჩუქარი ველარ მიუღია. აბა, ყველაფერზე პოლიციის გამოძახება გაგონილა? მეორედ მოსვლაა ნამდვილად.

გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ბებიამ შვილიშვილს ალკოჰოლის შემცველი შოკოლადები აჩუქა. დედამთილის საქციელით რძალი გადაირია, რას მიქვიან, 11 წლის ბავშვის გალოთებაო. ადგა და პოლიციას აცნობა დამნაშავე დედამთილის შესახებ.

მომხდარით თავად პოლიციის თანამშრომელი შტეფან შაიბენცუბერი გაოცდა – „იმის ნაცვლად, რომ ოჯახში გაერკვიათ მტყუან-მართალი, გაბრაზებულმა დედამ გარდაუვალ აუცილებლობად ჩათვალა პოლიციაში დარეკვა“.

დედის საქციელით გაკვირვებულმა პოლიციელმა გადაწყვიტა, კანონებისა და ზედმეტი ოფიციალური ქაღალდების გარეშე მოეგვარებინა საქმე. ბებიას დაელაპარაკა, რომელმაც თქვა, რომ, უბრალოდ, შვილიშვილისთვის საშობაო საჩუქარი უნდოდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ შოკოლადი ალკოჰოლს შეიცავდა.

„ამ ხერხით პოლიციამ მოახერხა, შეექო საშობაო მშვიდობა. ბებიამ გაუცნობიერებელი დანაშაული აღიარა. საქმე დაიხურა“, – დაასკვნა შაიბეცუბერმა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ზარმაცმა ფოსტალიონმა ასობით საჩუქარი სანაგვეზე გადაყარა



აბა როგორ, თქვენ ზედმეტად თავი არ შეიწუხოთ, ახლობლის სანახავად და საჩუქრის გადასაცემად თავად არ მიხვიდეთ და მე წელში გავწყდე თქვენისთანა მარტივად ცხოვრების მსურველთა ბარათებისა და საჩუქრების თრევითო? მართლა და მართლა, თქვენ მე ფოსტალიონი ხომ არ გგონივართო?!

მააშ, ყველგან ჭრიჭინას სოფლის ფოსტალიონივით კეთილი მოხუცები კი არ დაატარებენ წერილებს. ჰოდა, ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონის, ქუინის ფოსტალიონი დენიელ დარბი ერთ მშვენიერ წამს გაღიზიანდა, აფეთქდა და წერილებისა და საჩუქრების გადაყრა გადაწყვიტა. გაბრაზდა კაცი, ყველას საახალწლოდ როგორ ახსენდება ერთმანეთი, მაგათი გადამკიდე საკუთარი ოჯახი ვერ მომიკითხავსო.

ადგა ეს დენიელ ფოსტალიონი, იყიდა სამი ნაგვის პარკი, ჩატენა ყველა წერილი შიგ და სანაგვეზე დააბინავა. საჩუქრების სანაგვეს ორი დღის შემდეგ მიაგნეს. დენიელმა მაინც გამშიფრეთ და ბარემ ვიტყვი, რომ რამდენიმე საჩუქარმა განსაკუთრებით დამაინტერესა და ცნობისმოყვარეობაც დავიკმაყოფილეო.

29 დეკემბერს ფოსტის თანამშრომელს ბრალი წერილების განადგურებასა და მუშაობის შეფერხებაში დასდეს. მოგვიანებით კი, 50 ათასი დოლარის გირაოთი გაათავისუფლეს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ლესბოსელების ტკბილეულის გარეშე დატოვების გამო, კონდიტერებმა 137 ათასი დოლარი ჯარიმა გადაიხადეს



ჩვენი საკონდიტრო და ჩვენი ნებაო, აცხადებენ კლეინები. კრაიერები ვერ გადაგვიწყვეტენ, ვის უნდა მოვემსახუროთ და ვის – არაო.

საქმე ისაა, რომ კრაიერები, კლეინებისგან განსხვავებით, ლესბოსელების ოჯახია. როცა ერთ-ერთი კრაიერი (უცნობია, ცოლი თუ ქმარი) დედასთან ერთად საკონდიტრო მაღაზიაში შევიდა, კლეინებმა განუცხადეს, რომ ტორტებს რელიგიური დღესასწაულებისა და ერთსქესიანთა ქორწინებებისთვის არ ამზადებენ.

ჩვენ თქვენ გასწავლით დისკრიმინაციასო და კრაიერებმა კლეინებს უჩივლეს, რის საფუძველზეც ამ უკანასკნელებს 136.9 ათასი დოლარის გადახდა მოუწიათ.

საქმე ისაა, რომ ორეგონის შტატში 2007 წელს მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ადამიანებისთვის რასის, სქესის, ასაკის, რელიგიისა თუ სხვა ნიშნების მიუხედავად, მომსახურებაზე უარის თქმას კრძალავს.

მოკლედ, კლეინების პროტესტის მიუხედავად, კანონს ვერსად დაემალები და მისგან დაკისრებულ ვალდებულებასაც შეასრულებ. თუმცა, თუ მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება და ჯარიმების გადახდის ფინანსური შესაძლებლობაც გაქვს, შეგიძლია გააგრძელო კანონის დარღვევა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## როგორ ფიქრობთ, უნდათ თუ არა ადამიანებს დიდხანს სიცოცხლე?



კაცმა რომ თქვას, გასაკვირი არც არაფერია და პასუხიც მშვენიერი გაუციათ გამოკითხულებს.

სინგაპურში ასაკოვან ხალხთან გამოკითხვა ჩაატარეს – სურდათ თუ არა დიდხანს სიცოცხლე. მათ კი უპასუხეს, რომ მზად არიან, ნებისმიერი ფასი გადაიხადონ საკუთარ სახლში მშვიდი სიკვდილისთვის, ვიდრე სამედიცინო დაწესებულებაში გახანგრძლივებული სიცოცხლისთვის.

ასე რომ, მეცნიერებს აღარ სჭირდებათ ჯადოქრობების ჩატარება იმისთვის, რომ უკვდავების ელექსირი გამოიგონონ. უმჯობესია, ადამიანების უკანასკნელი დღეების გაუმჯობესებაზე იზრუნონ, ვიდრე გახანგრძლივებაზე.

*myjane.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



საოპერაციო მაგიდაზე ოფიციანტი წევს, სისხლისგან იცლება. შედის ექიმი:

– ექიმო, მიშველეთ, ვკვდები...

– უკაცრავად, მე ამ მაგიდას არ ვემსახურები...

*****

სექსოლოგიის ლექტორი ლექციას კითხულობს:

– სტატისტიკის თანახმად, ქალების 18 პროცენტს სექსი მუდმივად სურს, 23 პროცენტი ორალურ სექსზე გიჟდება, 30 პროცენტი კი ქმრებს ღალატობს...

სტუდენტის ხმა ბოლო მერხიდან:

– სტატისტიკა რა ჯანდაბად გვინდა, ჩვენ სახელები გვჭირდება, მისამართები, ტელეფონები!!!

*****



– ძალიან ამაღლებულ, შესანიშნავ და წარმოუდგენლად მაგარ განწყობაზე ვარ, სახელწოდებით „ამ ჩემს ფეხებს“...

*****

განცხადება:

– ინტიმმომსახურება შეჰერაზადასგან: 1 საათი – 100 დოლარი, ღამე – 300 დოლარი. ყოველი 1002-ე ღამე – უფასოა!..

*****

გოგო ბიჭს ეკითხება:

– რას აკეთებ?

– მიყვარხარ, მენატრები, ძალიან მაკლიხარ. ყოველ ღამე სიზმარში გნახულობ, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია! შენ რას აკეთებ?

– „სასისკსა“ ვჭამ...

*****

საკონტროლო წერის დროს კოტე კლასელს მიუბრუნდა:

– ნახე, ჩვენს მასწავლებელს რა მაგარი საჯდომი აქვს!

მასწავლებელი:

– კოტე, ნუ ჩურჩულებ, თემომ ისედაც ყველაფერი კარგად იცის!..

*****



– დისკომფორტი არ გექმნება, ცაცია რომ ხარ?

– არა! საერთოდ, ყველა ადამიანს უცნაური თავისებურებები აქვს. აი, შენ, მაგალითად, ჩაის რომელი ხელით ურევ?

– მარჯვენათი.

– აი, ხომ ხედავ, ნორმალური ადამიანები კი ჩაის კოვზით ურევენ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხის სახლი



გარეგნულად საკმაოდ უჟმური მოგვეჩვენა ეს სახლი და ცოტა არ იყოს, უსიამოვნო შეგრძნებების აღმძვრელი. აბა, კარგად დააკვირდით, ფილმებში რომ მოჩვენებებით გამოვსებული სახლებია, ისეთი არ არის?

სინამდვილეში, იქ არც ერთი მოჩვენება არ იმალება და საკმაოდ გამორჩეულიცაა – მას მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხის სახლის წოდება აქვს მიღებული.

ყველაზე მაღალი ხის სახლი ამერიკაში, კერძოდ კი, ტენესის შტატის ქალაქ კროსვილში მდებარეობს და რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, არაპროფესიონალი მშენებლების მიერაა აგებული.

ჰორაციო ბერჯესს 11 წელი დასჭირდა, რომ ოცნების სახლი აეშენებინა.


© Caters News Agency

მისი მტკიცებით, 10-სართულიანი სახლის მშენებლობა ღმერთის ხილვის შემდეგ წამოიწყო, რომელმაც უთხრა, რომ სანამ ყველაფერს არ მორჩებოდა, სამშენებლო მასალა არ გაუთავდებოდა, რაც გამართლდა კიდეც.

უზარმაზარი ხის სახლის ფართობი 3400 კვადრატული მეტრია და თურმე, არცთუ ისე ძვირი დაჯდა – სულ რაღაც, 12 ათასი აშშ დოლარი.

მსოფლიოში ყველაზე დიდ სახლში ნახავთ საკურთხეველს, კალათბურთის მოედანს, უამრავ ოთახს, კორიდორს, აივანს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

თვითმხილველების თქმით, სახლის სიდიადის წარმოდგენა მხოლოდ გარეგნული დათვალიერებით, უბრალოდ, შეუძლებელია.

რამდენად უსაფრთხოა უჩვეულო პირობებით აშენებული ხის სახლი, ამაზე არაფერს ამბობენ, თუმცა, რადგან მას კალათბურთის მოედანიც აქვს, ალბათ, გამძლე უნდა იყოს.

*billionnews.ru*

## ბავშვს გასუქებისგან მშობლის... საწოლი გადაარჩენს?



მოგეხსენებათ, ზოგადად, სიმსუქნე, განსაკუთრებით კი – ბავშვებში, თითქმის მთელი მსოფლიოს ძალიან დიდი პრობლემაა. საამისოდ ნორმალურ ქვეყნებში სპეციალური პროგრამები მოქმედებს, რათა ბავშვებს ამ სერიოზულ უსიამოვნებასთან გამკლავებაში დაეხმაროს. გარდა ამისა, ტარდება უამრავი კვლევა, რომელთაგან ერთ-ერთზე ქვემოთ მოგიყვებით.

– მშობლები, რომლებიც უფლებას აძლევენ თავიანთ შვილებს, ღამით მათ საწოლში შეძვრნენ, ბავშვებში გასუქების რისკს ამცირებენ, – ამტკიცებენ დანიელი მეცნიერები ახლად ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებში, რომლებიც მშობლებთან ღამით არასოდეს დაწოლილან, 3-ჯერ მეტად არიან მიდრეკილები სიმსუქნისკენ იმათგან განსხვავებით, ვინც დედ-მამასთან იძინებს ხოლმე.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ მშობლებთან უშუალო სიახლოვე ბავშვებს ძალიან დიდი ემოციური თანაგრძნობის შეგრძნებას უჩენს, რომელსაც შეუძლია, ისინი დაიცვას არა მხოლოდ სიმსუქნისგან, არამედ კიდევ ძალიან ბევრი უსიამოვნებისგან.

გეტყვით იმასაც, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა კოპენჰაგენის პროფილაქტიკური მედიცინის ინსტიტუტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომელშიც სიმსუქნისკენ მიდრეკილი 2-დან 6 წლამდე 645 ბავშვი იყო ჩართული.

*wordscience.org*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**5 იანვარი:** შეეცადეთ, დღეს არ გაჯიუტდეთ, საკუთარი აზრის დაცვა საჭიროა, მაგრამ სხვებსაც უნდა მოუსმინოთ. შესაძლოა, მნიშვნელოვანი რამ გაიგოთ.

**კურო 22.04-21.05**
**5 იანვარი:** როგორც ჩანს, დღეს დიდი გარჯა მოგიწევთ – უამრავ პრობლემას წააწყდებით. ისინი წვრილმანი იქნება, მაგრამ არაერთი.

**ტყუპები 22.05-21.06**
**5 იანვარი:** შეიძლება გრძნობები აგერიოთ, მაგრამ სანერვიულო არაფერია, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც აზრებს მოგიწესრიგებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**5 იანვარი:** თუ გეჩვენებათ, რომ რაღაც საქმე არ გამოგივათ, უმჯობესია, ის არც კი წამოიწყოთ, რადგან მართლაც არ გამოვა და დროს ტყუილად დაკარგავთ.

**ლომი 23.07-22.08**
**5 იანვარი:** დაასრულეთ, რისი გაკეთებაც ვერ მოასწარით, რადგან ხვალ ახალი საქმეები გამოგიჩნდებათ და ცაიტნოტში აღმოჩნდებით.

**ქალწული 23.08-22.09**
**5 იანვარი:** შესაძლოა, დღეს გულბოროტი და ყველას მიმართ აგრესიული გახდეთ. არ ღირს, რადგან ამით ყველაზე მეტად თავად დაზარალდებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**5 იანვარი:** თუ ბევრი უარყოფითი ენერგია დაგიგროვდათ, შეეცადეთ, მისგან ისე დაიცალოთ, რომ არავინ დააზარალოთ, ამის შანსი მცირე არ იქნება.

**მორიელი 23.10-21.11**
**5 იანვარი:** სიახლეების აღსაქმელად და შესაცნობად მზად იყავით, ასეთები საკმარისზე მეტი იქნება. ამაში ახლობლები დაგეხმარებიან.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**5 იანვარი:** როგორც ჩანს, დღეს ახალი ჰობი გაგიჩნდებათ. ისარგებლეთ უპირატესობებით, რასაც მისგან მიიღებთ, აუცილებლად გამოგადგებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**5 იანვარი:** თუ დღეისთვის რამე გეგმები გქონდათ, დაივიწყეთ. საიდუმლოდ გაგანდობენ რაღაცას, რაც ყველაფერს აგირ-დაგირევთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**5 იანვარი:** შეიძლება რეალობა არაადეკვატურად აღიქვათ. რადიკალურ ცვლილებებზე არც იფიქროთ, შეიძლება ხვალ ყველაფრის ძველებურად დატოვება მოგინდეთ, მაგრამ ველარაფერს შეცვლით.

**თევზები 19.02-20.03**
**5 იანვარი:** ფრთხილად იყავით, შეიძლება დღეს აწყენინოთ ადამიანს, რომელიც თქვენთვის ბევრს ნიშნავს. თქვენი გამოთქმები აკონტროლეთ, რომ ზედმეტი არაფერი წამოგცდეთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**577 74 99 89**
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## ფეხზე მდგომარე ჭამთ? დიაბეტს უფრთხილდით



ადრე იცოდნენ ხოლმე ბებიებმა ჭკუის დარიგება: „დაჯექი და ისე ჭამე, თორემ ლუკმებს უკნიდან ეშმაკი გამოგაცლისო“... ახლა, ეს რომ მოგონილი ამბავია, რად უნდა ბევრი ფიცი-მტკიცი, თუმცა ლიტველ სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, ფეხზე მდგომარე ჭამას მთლად ეშმაკები არა, მაგრამ ნაკლები უსიამოვნება ნამდვილად არ მოჰყვება.

სამწუხაროდ, ძალიან ბევრს აქვს ჩვევად, როგორმე სწრაფად რომ მოითავოს ტრაპეზი, ამჯობინებს, მაგალითად, ბუტერბროდი ფეხზე მდგომარემ მიირთვას.

– მას, ვინც მაგიდასთან არ ჯდება და ცდილობს, ფეხზე მდგომარემ რაც შეიძლება, სწრაფად შეჭამოს, დიაბეტის გაჩენის რისკი მნიშვნელოვნად ეზრდება, – ამტკიცებენ ლიტველი მეცნიერები.

ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ჩვევის მქონე ადამიანებში დიაბეტის გაჩენის რისკი მთელი 50 პროცენტით მატულობს.

რაღა თქმა უნდა, დიაბეტის გაჩენა მხოლოდ სწრაფად ჭამაზე არ არის დამოკიდებული და დიდწილად, გენეტიკური და გარე ფაქტორებია განმსაზღვრელი, თუმცა დაავადებას ბევრი ადამიანი მისდა უნებურად „ბონუსებს“ აძლევს.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



რამდენიმე თვის უნახავი მეგობრები ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ.

– წამოდი, კოტე, აღვნიშნოთ ჩვენი შეხვედრა, რამდენი ხანია, აღარ მინახიხარ!

– შანსი არ არის, საერთოდ აღარ ვსვამ!

– რატომ?

– რა ვიცი... შენ გასული ახალი წელი გახსოვს?

– კი.

– აი, მე კი არა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
» 211359457
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: ააალდემალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.35